პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 42 (95), პარასკევი, 14 დეკემბერი, 1945 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერშია

— გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება.
— გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას—გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციის მისალმება.
— სახელოვანი იუბილარი (მოწინავე).
— გიორგი ჟუჩიშვილი—ახალი ლექსები.
— შალვა ამისულაშვილი—მარხილები (ლექსი).
— ახალი ჟურნალები.
— საქ. თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა.
— ქართული საესტრადო ხელოვნების მაღალი ხარისხისათვის.
— ანდრო თევზაძე—ცხრა მაისი (ლექსი).
— გრიგოლ იმედაძე—სიმღერა (ლექსი).
— გიორგი ნადირაძე — გერონტი ქიქოძის სტილი.
— პ. ჭანიშვილი—რუსული ხელოვნების ... რების გამოცემის გამო.
— ვიქტორ გაბესკირია—ქეთევან წამებული (ნაწყვეტი პიესიდან).
— ლეო ქიაჩელი—ორი სტრიქონის ისტორია (მოთხრობა).
— ილია მაისურაძე—ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა (ბიბლიოგრაფია).
— ქრონიკა და ინფორმაცია.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს ლენინურ-სტალინური კომკავშირის მებრძოლ ორგანოს „ახალგაზრდა კომუნისტს“ მისი ოცი წლისთავის დღეს.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ არის ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის სულისკვეთებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღი. იგი რაზმავს ათასობით და ათიათასობით კომკავშირელსა და უპარტიო ახალგაზრდას ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი სამშობლოს წინაშე დასახული სამეურნეო და კულტურული ამოცანების შესრულებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალების დაუფლებისათვის საბრძოლველად. „ახალგაზრდა კომუნისტი“, განუხრელად ანხორციელებს რა ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებებს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ, თავის ფურცლებზე ეწევა ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეის პროპაგანდას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ მომავალშიც თავდადებულად ემსახურება ლენინიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისა და ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ახალ ამოცანათა შესასრულებლად მისი მობილიზაციის საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ სარედაქციო კოლექტივი მხურვალედ მიესალმება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ მისი არსებობის ოცი წლისთავზე.

თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე „ახალგაზრდა კომუნისტი“, როგორც ჭეშმარიტად კოლექტიური ორგანიზატორი და პროპაგანდისტი, ზრდიდა საბჭოთა ახალგაზრდობას ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით, უფრო მეტად აღვივებდა და განამტკიცებდა ახალგაზრდობის შეგნებაში სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

ფრიად მნიშვნელოვანია „ახალგაზრდა კომუნისტის“ დამსახურება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე; გაზეთმა აღზარდა მთელი თაობები ახალგაზრდა მწერლებისა, რომელნიც პირველად მის ფურცლებზე გამოჩნდნენ და რომელთაც შემდეგ ღირსეული ადგილი დაიჭიროს ქართული საბჭოთა მწერლობის რიგებში. „ახალგაზრდა კომუნისტს“—მრავალ სხვა მიღწევათა შორის—აქვს საუცხოო ლიტერატურული ტრადიცია; თავისი პრინციპული, სამართლიანი გამოსვლებით იგი მუდამ უშუალო, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების საქმეში.

ვუსურვებთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სარედაქციო კოლექტივს, თანამშრომლებსა და მკითხველებს შემდგომ წარმატებებს იმ დიდ ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებსაც მის წინაშე ლენინ-სტალინის პარტია აყენებს.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქცია.

სახელოვანი იუბილარი

საქართველოს ლენინურ-სტალინური კომკავშირის მებრძოლ ორგანოს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ ოცი წელი შეუსრულდა. გზა, რომელიც ამ გაზეთმა გაიარა, აღსავსეა დაუღალავი და პრინციპული ბრძოლით ახალგაზრდობის ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით აღზრდისათვის; განელილი წლების მანძილზე იგი მოხოლიტურად ამჟიდროვებდა ახალგაზრდობას დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** დროშის გარშემო, რაზმავდა მას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის.

საქართველოს კომკავშირულმა პრესამ სახელოვანი ფურცლები ჩასწერა ბოლშევიკური პრესის ისტორიაში. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობით და დახმარებით „ახალგაზრდა კომუნისტი“ თანამიმდევრულად იცავდა იმ დიდ ტრადიციებს, რომლებიც დაამკვიდრა ჩვენში სტალინურმა პრესამ პირველი რევოლუციის ეპოქაში და რომლებიც შემდეგ თანამიმდევრულად განავითარა პარტიულმა პრესამ დიდი სტალინის უშუალო მითითებათა საფუძველზე.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ იყო და არის ლენინურ-სტალინური კომკავშირის მებრძოლი და მოქმედი ორგანო, პარტიის ხელმძღვანელობით იგი ყოველთვის ბრწყინვალედ ასრულებდა დაკისრებულ დიად ამოცანებს და სწრაფად, ბოლშევიკურად გარდაქმნიდა ხოლმე თავის მუშაობას დროის ამოცანებთან შესაბამისად. იგი იყო და არის კომკავშირის მახვილი თვალი და ყური, — ჭეშმარიტად კოლექტიური ორგანიზატორი და პროპაგანდისტი, რომელიც რაზმავს ათასობით და ათი ათასობით კომკავშირელსა და უპარტიო ახალგაზრდას ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი სამშობლოს წინაშე დასმული სამეურნეო და კულტურული ამოცანების შესრულებისათვის.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა გაზეთმა საქ. კ. პ. (ბ) 1931 წლის ოქტომბრის ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ; იგი განუხრელად ანხორციელებდა ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითებებს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ, ღრმად ნერგავდა თავის ახალგაზრდა მკითხველებში ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის გრძნობას. არ არის არც ერთი უბანი სოციალისტური მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების სფეროში, რომ კომკავშირსა და მის მებრძოლ ორგანოს თავისი ფასდაუდებელი ღვაწლი არ შეეტანოს. ისინი ზრდიდნენ და ზრდიან მაღალ-იდეურ, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ, პატიოსანსა და კეთილშობილ ახალგაზრდობას, ახალგაზრდობას, რომელიც მუდამ ერთგული იყო და იქნება ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი ტრადიციებისა, ბრძენი ბელადის—ამხანაგ სტალინის დიადი საქმისა.

ჩვენი ქვეყნის კომკავშირულმა და უპარტიო ახალგაზრდობამ, რომელთა იდეური აღზრდის საქმეში მცირე როდია „ახალგაზრდა კომუნისტის“ როლი, ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს მტერზე გამარჯვების ისტორიაში. სამამულო ომის პერიოდში ქართველმა ახალგაზრდობამ, მოძმე საბჭოთა ხალხების ახალგაზრდობასთან ერთად, გამომამეღვნა მაღალი შეგნება და უდიდესი პატრიოტული თავდადება სამშობლოს ინტერესებისათვის. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლებოდა აღზრდილიყვნენ ფრონტისა და ზურგის ისეთი თავდადებული მებრძოლი ახალგაზრდები, რომელთა სახელებიც მოსილნი არიან გმირობის უჭკნობი შარავანდედით.

დიდია და ფასდაუდებელი საქართველოს კომკავშირისა და მისი პრესის როლი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის და ხელოვნების აყვავების, მეცნიერებისა და ტექნიკის გაფურჩქვნის საქმეში. ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ჩვენს ქვეყანას მისცა მთელი რიგი თვალსაჩინო წარმომადგენლები ტექნიკური და მხატვრული ინტელიგენციისა; კომკავშირული პრესის, კერძოდ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოვიდნენ და დავაქაცდნენ უმნიშვნელოვანესი კადრები საბჭოთა პერიოდში აღზრდილი მწერლებისა. „ახალგაზრდა კომუნისტი“ ყოველთვის მახლობელი და საყვარელი მეგობარი იყო საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკებისა.

გიორგი ჟუჩიშვილი

ახალი ლექსები

სამშობლოსადმი.

სამშობლოვ ჩემო!
შენს ლაჟვარდ სივრცეს,
შენს ზღვას,
შენს ხმელეთს,
ეგრე რომ გშვენის, —
არამც თუ მსხვერპლად
მხოლოდ ჩანგს მივცემ,
არამედ გულსაც,
შენთვის რომ მიცემს!

მაინც მარადჟამს...

ჩემი ცხოვრების
უმძიმეს გზაზე,
თუმც ხშირი იყო
ძეძვი თუ ნარი, —
მაინც მარადჟამს
მაშვრალთა ხსნაზე
ჟღეროდა ჩემი
სახალხო ქნარი!

ახალ ბინაზე

ძლივს!
დავტოვე ძველი ბინა!
წვეულთ ვხვდები ახლით!
გულს ხალისმა დაურბინა,
ჰექით ჰერს
ქუდს ვახლი!
პოეზიით და მუსიკით
აღსავსეა სახლი!
შევრცხვე, ძმაო,
ამას-იქით
თუ ვიმღერო ნაღვლით!

ფიქრები ფეიქრებზე

ჰა, ინათა!
ცის კიდურიც
აკრიალდა როგორც მინა!
მზემ წამალა
ღამის ბური,
მზემ ალამი გადმოჰფინა!

ფეიქართა ფარფო უბანს
ახმაურებს გუნდი ქალთა,
ეს საქარხნო სიმღერაა
და შეკრება შრომის ძალთა!
აქ ვაჟკაცებს, მკერდგაშლილებს,
ეჯიბრება გუნდი ქალთა,
თითისტართა ტრიალია
და ელვების ფრენა თვალთა!
და ეს ქალთა
მხნე სიმღერა
აწკრიალებს ქარხნის მინებს,
ხალისიან შრომის კერას
სოცშეჯიბრში აგვირგვინებს!

შალვა ამისულაშვილი

მარხილები

ბუდაპეშტის მისადგომებთან, ცხარე ბრძოლების დროს ხშირად მინახავს მარხილებში შებმული ძაღლები, რომლებიც მიაქროლებდნენ დაჭრილ მეომრებს.

ბუდაპეშტიდან მოჰქრიან ძაღლები,
მოაქროლებენ პატარა მარხილს,
თვალებში სათისფრად უნთიათ ნაღველი
და გლოვას არქმევენ ქარიშხლის ძახილს.
ქარიშხალს მოჰყვება მარხილის წივილი,
ძაღლების ყეფა და მეომრის კვნესა.
მარხილზე ნაავდრალ ჩონგურის სმიგით
ემშვიდობება სიცოცხლე ზეცას.
საცაა მთებზე ბინდ-ბუნდი დაწვება,
ხევებსაც შეიპყრობს ჩვეული მწუხრი,
ნამქერი წაიღებს იმედის ნაპერწკალს,
ძაღლებო, მგლური მოიბით მუხლი!..
ძაღლებო, ქართველი დაჭრილი ვაჟკაცი
არ დაანებოთ უნგრეთის ღამეს,
გადამტყდარ ხმალზე სტირის ქარქაში
და ვეღარ ითვლის დუშმანის გვამებს.
თქვენ ნუ შეგაშინებთ კორიანტელი,
ქარიშხალი და დუნაის რისხვა,
კვლავ მოგცეთ ძალა ორი ამდენი
უცხო მხარეში დაღვრილმა სისხლმა.
ჭირხლი გადაჰყრია მარხილს ვერცხლივით,
ჭირხლად ქცეულა ვაჟკაცის სისხლი
მაგრამ სიცოცხლე ქართან შეხლილი
გმირის თვალებში ფერსაც არ იცვლის.
კვნესა კვნესა არი, ვაჟკაცს კი არა —
ზოგჯერ თვით ქვასაც შეარხევს გმნვა.
გააპეთ მანძილი ეყენს წკრიალით
ნურც შემოგასწროთ ხევებში ბინდმა.
იჩქარეთ, მაგ თქვენი მუხლის ჭირიმე,
ნუ გამაგონებთ უღონო წკმუტუნს,
შორს ყინულებში ჩამჯდარ ტირიფებს
თაფლის სანთლები აჰყრიან უკუნს.
იქ ცხოვრობს ერთი ქართვლის ასული,
რუსულ ფარაჯას ატარებს მუდამ,
ვარდს ედარებოდა მისი წარსული
თუ არ დაეჭკნო დროების ბრუნვამ.
იჩქარეთ ძაღლებო... სპეტაკმა თითებმა
გადაარჩინონ ვაჟკაცი სიკვდილს,
დე, კვლავ იყვავილონ გმირის ფიქრებმა
დე, კვლავ მჩქეფარებდეს ძარღვებში სისხლი.

ვახტანგოვის სახელობის თეატრის აღდგენა

განვლილი ომის დროს, საჰაერო ბომბარდირებისაგან ძლიერ დაზიანდა ევგ. ვახტანგოვის სახელობის თეატრის შენობა.

ამჟამად მიმდინარეობს ხსენებული თეატრის შენობის აღდგენა არქიტექტორ აბროსიმოვის პროექტის მიხედვით. შენობის ფასადი შეცვლილი იქნება. შესასვლელის წინ მოეწყობა გალერეა. მნიშვნელოვნად უმჯობესდება ელექტრო მოწყობილობა და სხვ.

მშენებლობა დამთავრდება ვახტანგოვის სახელობის თეატრის არსებობის 25 წლისთავისათვის — 1946 წლის 13 ნოემბერს.

ნ. ბარათაშვილის ქუჩა თბილისში.



გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე ... ქანდაკება ხილოვან კაკაბაძისა.

ახალი ჟურნალები

1946 წლის იანვრიდან მოსკოვში დაიწყება ორი ახალი ჟურნალის გამოცემა. ეს ჟურნალებია „ხელოვნება“ და „შემოქმედება“ (სსრკ სახელმწიფოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის და საბჭოთა მხატვრების კავშირის ორგანოები). პირველი გამოვა წელიწადში ექვსჯერ, მეორე — ყოველთვიურად.

ჟურნალ „ხელოვნებას“ სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ა. გერასიმოვი, ი. გრაბარი, ვ. ეფანოვი, ვ. მუხინი, პ. სისოევი (პასუხისმგებელი რედაქტორი). ჟურნალ „შემოქმედების“ სარედაქციო კოლეგიაში შედიან ს. გერასიმოვი, ა. ზამოშკინი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ბ. იოგანსონი, ა. ლებედევი და ნ. შჩეკოტოვი.

ახლო ხანებში დაიწყებს გამოსვლას ყოველთვიური ჟურნალი „საბჭოთა მუსიკა“ (ხელოვნების საქმეთა კომიტეტის და კომპოზიტორთა კავშირის ორგკომიტეტის ორგანო). პასუხისმგებელ რედაქტორად დანიშნულია კომპოზიტორი დ. კაბალევსკი; სარედაქციო კოლეგიაში შედიან — ბ. ასაფიევი, ნ. მიასკოვსკი, ვ. სურინი, ა. ხაჩატურიანი და დ. შოსტაკოვიჩი.

• • •

მოსკოვში განახლდა გამოცემა სსრკ სახელმწიფოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ყოველთვიური ჟურნალის „თეატრისა“. ჟურნალის გამოცემა, ომით გამოწვეულ პირობების გამო, ოთხი წლის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

ამ ახლო ხანებში თბილისში მიღებულ იქნა „თეატრის“ პირველი ნომერი. მოწინავე წერილში — „ჩვენი დღეების თეატრი“, რედაქცია მიმოიხილავს საბჭოთა თეატრის მუშაობას სამამულო ომის დღეებში და იმავე დროს სახავს თეატრის ახალ ამოცანებს მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდის შესაბამისად. ამ ამოცანათა შორის, როგორც სამართლიანად აღნიშნულია მოწინავე წერილში, მთავარია ზრუნვა თანამედროვე რეპერტუარის შექმნაში. ჟურნალი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად შესუსტდა ჩვენი თეატრის კავშირი მწერლობასთან, ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენი თეატრების რეპერტუარში ძალზე ცოტაა თანამედროვე პიესები. დრამატურგისა და თეატრის ერთობლივ მუშაობას შეუძლია ფრიად ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინოს თანამედროვე რეპერტუარზე. თეატრი დაინტერესებითა და დაუღალავად უნდა ეძებდეს ახალ ავტორებს მწერალთა შორის: „სცენიური ხელოვნების ისტორიამ ცოტა როდი იცის მაგალითები, როცა პოეტები და პროზაიკოსები, რომელნიც ადრე განზე იდგნენ თეატრისაგან, შემდეგში ნამდვილი და მარჯვე დრამატურგები ხდებოდნენ“.

დრამატურგიისა და თეატრალური რეპერტუარის საკითხებს ეხებიან ვს. ივანოვი წერილში — „უსახელო ოცნებანი“ და მ. ბლეიმანი წერილში — „პიესები და რეპერტუარი“. ვს. ივანოვი მოუწოდებს ავტორებს და თეატრის მუშაკებს შეჰქმნან სრულფასოვანი პიესები, რომელთაც აღარ უნდა ესაჭიროებოდეთ თვითნებური რეჟისორული გადაკეთებანი. მ. ბლეიმანი თავის წერილში მიმოიხილავს ოთხ თანამედროვე პიესას და მათ დადგმებს მოსკოვის თეატრებში.

შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია ი. პოლოსინის „ივანე მრისხანეს სახე საბჭოთა სცენაზე“, ვ. ერმილოვის წერილი ჩეხოვის „თოლიას“ ახალი დადგმის შესახებ და მრავალი სხვა მასალები.

განყოფილებაში „საზღვარგარეთ“ მოთავსებულია რ. ვლადიმიროვის წერილი „საბჭოთა თეატრი ინგლისისა და ამერიკის პრესის შეფასებით“ და ვლ. რუდანის „ჩინური თეატრი ომის წლებში“.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა

ორშაბათს, 17 დეკემბერს, დილის 10 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა.

ყრილობის დღისწესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. „ქართული თეატრის განვითარების გზები“ — მომხსენებელი **შალვა დადიანი.**
2. თეატრალური საზოგადოების წესდების განხილვა და დამტკიცება.
3. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის მუშაობის პერიოდში დელეგატთა მონაწილეობით გაკრავენ მემორიალურ დაფებს იმ შენობებზე, სადაც ცხოვრობდნენ ქართული სცენის დიდი ოსტატები — ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და კოტე მარჯანიშვილი.

ქართული საესტრადო ხელოვნების მაღალი ხარისხისათვის

ასე მუშაობა შეუძლებელია

„ლიტერატურა და ხელოვნების“ ფურცლებზე კვლავ აღიძრა ქართული საესტრადო ხელოვნების საკითხი.

ეს საკითხი ბევრჯერ დასმულა.

არა ერთხელ შევკრებილვართ, გვითათბირნია, აგვიწონ-დაგვიწონია, ბევრი გამოჩენილა გულშემატკივარი, მაგრამ არ იქნა და არა, ვერ ავიდა ქართული ესტრადა იმ დონეზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყოველმა ჩვენთაგანმა იამაყოს ამ ორიგინალური და ამასთან ერთად ძალიან ძნელი თეატრალური დარგით.

ესტრადის განვითარებისათვის, მისი აღორძინებისათვის საქართველოში ძალიან მდიდარი მასალა მოიპოვება. ქართულ ესტრადას უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი აქვს, მას შეუძლია მიიზიდოს არა მარტო ქართველი, არამედ არაქართველი მაყურებელი და მსმენელიც. ყველა ამის პირობა ჩვენ გვაქვს, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობა მაინც არ არის სახარბიელო.

ნუთუ ქართული ესტრადა მხოლოდ მოსწრებული სიტყვაა, ისიც ხშირად ძალზე იაფფასიანი?

ნუთუ ქართული ესტრადა სმოკინგში ან ლამაზ კოსტუმში გამოწყობილი მსახიობია?

ნუთუ ქართული ესტრადა უნდა ემყარებოდეს იმ მუსიკალურ მასალაზე, რისი მოსმენის მოწამენიც ჩვენა ვართ?

ნუთუ ქართული ესტრადა უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ იმ მსახიობებს, რომელნიც შეთავსებით მუშაობენ?

ნუთუ ქართული ესტრადის მოვალეობაა მხოლოდ ის, რომ ფილარმონიის საზაფხულო ბაღი გახსნას და სეზონის ბოლოს დახუროს?

სად არის, რატომ არ მოსჩანს ესტრადაზე ქართულ ხალხურ მოსწრებულ სიტყვასთან ერთად ქართული ხასიათები (წარსული და თანამედროვე?) განა ქართულ კონფერანსიედ ცუდი იქნებოდა გამოგვეყენებინა ქოსატყუილას და ნაცარქექიას ცნობილი და საყვარელი ხალხური ნიღბები? სად არის ევროპულ ჩარლსტონებთან ერთად ქართული სახასიათო ტანსაცმელი ამა თუ იმ ნიღაბისათვის, ამა თუ იმ ტიპაჟისათვის, რომლის განსახიერება აქტიორს მიზნად დაუსახავს?

ამ ხალხურ ნიღბებს საუკუნეების ისტორია აქვს; ქართულ ფოლკლორში დღესაც დარჩენილა უძველესი მემკვიდრეობა, რომელიც სათანადო შესწავლის, გადამუშავების და, რაც მთავარია, განახლების შემდეგ უდაოდ გაამდიდრებს ესტრადის მსახიობის სიტყვასა და მოძრაობას, მეტ ქართულ იერს და კოლორიტს მისცემს მას, მეტად დააახლოებს ჩვენი ხალხის სულთან. ჩვენ მექანიკურად კი არ უნდა დავუბრუნდეთ ამ წარსულს, არამედ ორგანიულად ავითვისოთ იგი.

ნუთუ ცოდვით არ იწვებიან ჩვენი მუსიკოსები, როდესაც ესტრადიდან არც ისე იშვიათად გაბაზრებული და აშკარად კაფე-შანტანური ჰანგები ისმის?

ნუთუ აღმაშფოთებელი არ არის ის, რომ უდღეურმა ქართულმა ჯაზმა თავის რეპერტუარში შეიტანა „ბებია მყავდა პოვარი“, „ბალახ-ბულახში“ და სხვა ამგვარი აშკარად ბულვარული, აუტანელი სიმღერა?

გამოსავალი მხოლოდ ერთია. უნდა დაიწყოს ნამდვილი ზრუნვა ესტრადის კადრების აღსაზრდელად. ნუთუ არ შეიძლება ფილარმონიასთან ან თეატრალურ ინსტიტუტთან გაიხსნას ერთი ფაკულტეტი ესტრადის განხრით?

ნუთუ ქართული ესტრადა ერთი ორი ფელეტონით, კუპლეტებით (რომლებიც ხანდისხან ძალზე უმწეო და იაფფასიანია) და ერთი-ორი სიმღერით („რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“) უნდა ამოიწურებოდეს? სად არიან ქართველი აკრობატები და ჟონგლიორები? განა ბოშურ სიმღერებთან ერთად არ შეიძლება დავაინტერესოთ მაყურებელი ალექსანდრე ჭავჭავაძის ან გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებით?

იმ პროგრამით, იმ სახით როგორც ახლა ჩვენ ვმუშაობთ ესტრადის სარბიელზე, ვერავის ვერ გავაკვირვებთ. შეიძლება ბუნებრივი მონაცემები ბევრი გვქონდეს, მაგრამ საესტრადო ხელოვნების დაუფლება — ეს სულ სხვა საქმეა, საქმე რთული და საპატიო. ჩვენ გვყავს შესაფერისი ოსტატები, შეიძლება მათი შეკრება როგორც პედაგოგების (ცხომელიძე, გოლიაძე, მესტიაშვილი და მრავალი სხვანი), მათ შეუძლიათ თავის სპეციალობაში, თავისი განხრით შესანიშნავი კადრები აღზარდონ ქართული ესტრადისათვის. ამ მხრივ ფილარმონია არავითარ ლაბორატორიულ მუშაობას არ აწარმოებს, ჩვენ მაგალითი უნდა გადმოვიღოთ მოსკოვის, ლენინგრადის და ტაშკენტის ფილარმონიისაგან.

ჩვენში ცოტა როდია ხალხი, რომელთაც ეს საქმე ძალიან უყვართ; არიან ადამიანები, რომლებიც არ დაიშურებენ არც ენერგიას და არც გამოცდილებას ამ საპატიო უბნის ასაღორძინებლად. მზრუნველობა, ყურადღება არ გვაკლია, საჭიროა მხოლოდ თვითონ ჩვენ, კულტურის ფრონტის მუშაკებმა მეტი თაოსნობა გამოვიჩინოთ.

კულტურის ყველა სფეროში, ხელოვნების ყველა დარგში დაუცხრომელი მუშაობა სწარმოებს ახლის შესაქმნელად, ხოლო ქართული ესტრადა ისევ ჩამორჩენილია, ისევ უნუგეშო მდგომარეობაშია.

— ჰარიქა, ბიჭო, ხვალ უქმეა და აბა ერთი კარგი ნომერი დაამზადე!

— ჰარიქა, ამ დილისათვის კარგი ნომერი დამიწერე!

ასე მუშაობა შეუძლებელია, არავითარი ნამდვილი ხელოვნების შექმნა ამ გზით არ მოხერხდება.

ვასო გოკიაშვილი
ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი

მხატვრული სიტყვის ჭრიბუნა

ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მშვიდობიანი განვითარების პირობებში ესტრადის წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანები ისახება. ამ ამოცანათა ღირსეულად და შესაფერისად გადაჭრისათვის, საჭიროა საესტრადო ხელოვნების განვითარების საქმეში მეტი გეგმიანობა შევიტანოთ.

დღეს კი საესტრადო მუშაობა ჯერჯერობით ისევ შემთხვევით ხასიათს ატარებს. სცენის ოსტატებს იგი სასხვათაშორისო საქმედ მიიჩნიათ. ამ დარგის რეპერტუარიც და ლიტერატურაც ძალზე მოისუსტებს. ქართველი მწერლები — პოეზიისა და პროზის ოსტატები სპეციალურად ესტრადისათვის არ მუშაობენ, შემსრულებელთა მუშაობასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს.

ასეთივე მდგომარეობაა საესტრადო ხელოვნების მუსიკალურ და ვოკალურ ნაწილშიც. ცხადია, ამგვარი მდგომარეობისადმი შერიგება შეუძლებელია. საქართველოს ფილარმონიამ ამ საქმეში მეტი გეგმიანობა და ორგანიზებულობა უნდა შეიტანოს. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რათა ქართული ესტრადა იყოს არა სასხვათაშორისო საქმე, არამედ სერიოზული და ღირსეული წევრი ქართული ხელოვნების ოჯახში.

აკაკი ვასაძე
სსრკ სახალხო არტისტი.

მეჯი ყურადღება ქართულ ესტრადას

ესტრადა მასებზე ზემოქმედების ძლიერი და ელასტიური ფორმაა. უსცენოდ, ურეჟისოროდ, უმხატვროდ ესტრადის მსახიობი, ყოველგვარი გრიმის გარეშე, უშუალოდ სდგება აუდიტორიის წინაშე და მხატვრული სიტყვით მოუთხრობს ჩვენი ქვეყნის დიდ გამარჯვებებზე, მიღწევებზე, საბჭოთა ადამიანის უმაგალითო გმირობაზე. ესტრადიდანვე ისმის გაკიცხვა ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო ნაკლოვანებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილან. საესტრადო ხელოვნებაში შეზავებულია სატირა, ჰუმორი, მხატვრული კითხვა, მუსიკალური ფელეტონი, ცალკე მონოლოგები და სცენები. ეპოქის ამა თუ იმ მოვლენას, სანამ იგი დრამასა და პროზაში ანდა მუსიკალურ ნაწარმოებში ჰპოვებდეს თავის ღირსეულ გამოხატულებას, ესტრადის ავტორები და შემსრულებლები სწრაფად ეხმაურებიან.

არ იქნებოდა სწორი იმისი თქმა, თითქოს დღეისთვის ქართულ ესტრადას არავითარი წარმატებისათვის არ მიეღწიოს! უკანასკნელი წლების მანძილზე ამ სფეროში ჩვენში ბევრრამ გაკეთდა, მაგრამ მაინც საერთოდ ქართული საესტრადო ხელოვნება ჯერ კიდევ არა სდგას სასურველ დონეზე, ის ვერ უპასუხებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს. საესტრადო ხელოვნების განვითარებას დიდად უშლის ხელს სათანადო ლიტერატურის უქონლობა. რატომღაც მაღალ კვალიფიციური მწერლები ხელოვნების ამ ჟანრისათვის სრულებით არ მუშაობენ. არც საგამომცემლო ორგანიზაციები აქცევენ მას ყურადღებას. დღემდე არ არის გამოცემული ესტრადისათვის არცერთი სახელმძღვანელო და ლიტერატურული მასალების კრებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რევოლუციამდე დაბეჭდილ დიდ და პატარა „ჩანგებს“, რომელთა მასალა ერთობ მოძველებულია და ჩვენი დროისათვის შეუფერებელი. საესტრადო ნაწარმოებნი, სამწუხაროდ, ჩვენში უმთავრესად ხელნაწერების სახით ვრცელდება.

ხუთმეტი წელიწადია, რაც ჩვენ ესტრადაზე ვმუშაობთ. ესტრადა ჩვენი სამსახიობო შემოქმედების განუყოფელი და საყვარელი ნაწილია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ რამდენიმე ათასეული გამოსვლა გვაქვს ესტრადაზე. ჩვენ გამოვდიოდით არა მარტო საქართველოს, არამედ მოძმე რესპუბლიკების ფართო აუდიტორიების წინაშე. გამოვდიოდით უმთავრესად და მხოლოდ სპეციალურად საესტრადო ნაწარმოებებით. სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გავაძლიერეთ საესტრადო მუშაობა. სცენიდან მოუწყვეტლად ჩვენ შევსძელით ფრონტსა და ზურგში წითელი არმიის ნაწილებისათვის ოთხასზე მეტი კონცერტი გაგვემართა.

ჩვენი სურვილია და თხოვნა კიდევ მეტი ყურადღება მიაქციონ ხელოვნების ამ დარგს, როგორც ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა, ისე მწერლებმა, კომპოზიტორებმა და ქართული თეატრის მუშაკებმა.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები:
სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი სალარაძე.

ულელტეხილის სადარაჯოზე. სურათი მხატ. რ. მირზაშვილისა.

ანდრო თევზაძე

გამარჯვება გვწამდა მუდამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ქარბუქი გავიარეთ, რამდენ გრიგალს გადავურჩითო,
ქარიშხალმა დაგვისეტყვა ჩვენი ბაღის ხე და ბუჩქი,
ღრუბლის ზღვაში ჩაძირული აღარ ჩანდნენ მთები ლურჯა,
ჩვენი პირიმზე გაზაფხული ტყვიის კვამლით შეირუჯა.
მაგრამ მტარვალს ვლეწდით, ვჩეხდით,
ბრძოლის ცეცხლში ვხვევდით ტყე-ველს,
წმინდა სისხლი დავაპკურეთ
ჩვენ სამშობლოს საკურთხეველს.
წმინდა სისხლი ავაქუხეთ და შევლეწეთ მტრის კარები,
გამარჯვება გვწამდა მუდამ, შიშს არასდროს ვიკარებდით.
და იმ დილით დიდმა ბრძენმა, მზე ბურანში იწვა როცა
კრემლის ნათელ დარბაზიდან გამარჯვება მოგვილოცა.
— მოგილოცავთ! მოგილოცავთ! მორჩა ჩვენი გულის ურვა!
წამით შედგა ყველაფერი, თითქოს შეწყდა მიწის ბრუნვა.
ხმა ქუხილად ცას მოედო, მთებიც შესძრა თმაჭაღარა,
ხალხის გულში სიხარული ჩანჩქერივით ჩაიღვარა.
მეც ავმღერდი, მეც ავყვავდი, მეც ამ ლხენამ გამახარა,
— გამარჯვება! გამარჯვება!—ცამ ქუხილად დამახალა.
და ჩამოვკარ თითები ჩანგს, სისხლის წვიმით დაუქანგავს,
რომ ვისმენდეთ ხელმეორედ გამარჯვების დიად ამბავს.
რამდენ გრიგალს გადავურჩით, რა ქარბუქი გავიარეთ,
სიხარული დაეუფლა გულს ნაცრემლს და ნაიარევს.
დღეგრძელობა!
ვინაც გულში სჭედდა რწმენის ბასრ იარაღს,
ვინც დაგვიხსნა მტრის ხელიდან, ვინც ისევ მზეს გვაზიარა
ვინც გვიკაფავს ცხოვრების გზას,
ვინც გვაშორებს ქარს და ავდარს,
დღეგრძელობა! დღეგრძელობა!
ჩვენს ბელადს და მთავარსარდალს!

გრიგოლ იმედაძე

სიმღერა

გაიღო ზეცის კამარა,
ამოჰყვა გუნდი მერცხლისა
და ერის გულგასახარად
ჩვენც ამღერება გვეღირსა.

რამ დამაღონოს და როგორ
ჩავიკლა მკერდში ხალისი!
პოეტს უხმობენ—სამშობლოს
უთხრას დღეის და ხვალისი.

მამათა ძვლები იფიცოს,
მემატიანე ქართული.
აროდეს არ დაივიწყოს
მამული სახელგანთქმული.

ცა მოუქარგავს კრიალა,
მთვარეს წარბივით გადახრილს,
ვარსკვლავით ბრწყინავს იმგვარად,
ვით დაწინწკლული კალმახი.

პოეტი უკეთ მოხატავს,
მაგრამ სხვა სიტყვით მოველი.
თუ ფირდოუსმა მოხარა
სტრიქონში სიბრძნე ყოველი.

და მაინც არვინ ინება
მისთვის ერთი შტო სოსანიც,—
სტალინის მზემ და დიდებამ
ვარდებში ჩასვა მგოსანი.

ერთი მართალი სიმღერა
სამარადჟამოდ გაწვდება,
მღელვარე გულის სიმებად
განა ოდესმე გაწყდება.

სიმი გაუბამს მზისანი
ცას ელვასავით დაკეცავს,
მისი ნატყორცნი ისარი
ღრუბელს გაუჩენს ნაპერწკალს.

მეხს დაჰკრავს გარე-კახეთში,
მყინვარს შეაკრთობს დგრიალით
და ჭარმაგ მუხის ნახლეჩი
დანაფოტდება თრიალეთს.

ხან დროშასავით მოგაფრიქვევს
სხივებს მზის ამორბენამდის.
გაშლი და შემოგანათებს
ძლიმარე თვალით ბელადი.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი“

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ ამ დღეებში რუსულ ენაზე გამოსცა აკაკი გაწერელიას მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება“. წიგნში შედის შემდეგი თავები: დაბადება, მშობლები, ბავშვობა, სოლომონ დოდაშვილი — ნ. ბარათაშვილის მასწავლებელი, 1832 წლის შეთქმულება და ნ. ბარათაშვილი, ბარათაშვილი სამსახურში, ბარათაშვილის პიროვნება, პოეტის წერილები და სიყრმის პერიოდის ლექსები, ნ. ბარათაშვილის პატრიოტიზმი, პოემა „ბედი ქართლისას“ რეალიზმი, სიყვარული ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, „მელანი“, ბარათაშვილის ენა და სტილი, პოეტის სიკვდილი.

წიგნი რუსულ ენაზე თარგმნილია ნ. აკერმანის მიერ, რედაქტორია გ. ჯიბლაძე; წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

გიორგი ნადირაძე

გერონტი ქიქოძის სტილი

(გ. ქიქოძის სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო)

ორიგინალური სტილის, ე. ი. ინდივიდუალური ხედვისა და მეტყველების კულტურის გარეშე არ არსებობს დიდი მწერლობა. და თუ ჩვენი თაობა გერონტი ქიქოძეს ამ დიდი მწერლობის თანამონაწილედ სთვლის, ამას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ მას აქვს საკუთარი თვალი საგნების დანახვისა და საკუთარი ენა დანახულისა და განცდილის გამოხატვისა.

და მართლაც, თანამედროვე ქართულ მწერლობაში გერონტი ქიქოძის სტილი განირჩევა თავისი ნათელი ორიგინალობით. მწერალთა და კულტურულ მკითხველთა წრეებში კარგად იცნობენ მის სასიამოვნო ქართულს, უფრო მოფიქრებულს და მწყობრს, კეთილშობილად დარბაისლურს და ლამაზს. მისი მეტყველების კულტურა ბრწყინვალეა არა მარტო იმით, რომ მწერალს ემორჩილება ენის რთული ტექნოლოგია, არამედ იმ სასიამოვნო ბუნებრივობითაც, რომელშიაც გამოსჭვივის შინაგანი დამაჯერებლობა და გულწრფელობა. სტილი, როგორც ამას ხშირად იმეორებენ ბიუფონის შემდეგ, თვითონ ადამიანია. ჭეშმარიტი მწერლისათვის სტილი მეორე სხეულია, რომელშიც მისი სული მეცავდება და, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილი და გამომსახველი ფორმით, ვიდრე ფიზიკურ ორგანიზმში.

დაკვირდით გერონტი ქიქოძის სტილს და, თუ თქვენ პირადად იცნობთ მის ავტორს, დამეთანხმებით, რომ სწორედ ასე უნდა სწერდეს ის მწერალი, რომელსაც თავის პიროვნებაში შეუხამებია სოლიდური ევროპული განათლება რაფინირებულ ესთეტიკურ გემოვნებასთან, ფაქიზი და ძლიერი ემოციები დარბაისლურ თავდაჭერილობასთან. ასე იბადება სტილი, რომელშიც არაფერი არ არის უწესრიგო და ნაპირებგადალახული, ასე იბადება მეტყველების ჰარმონიული ფორმა, რომელიც ინტელექტუალურად ნათელია და გრძნობიერი ერთსა და იმავე დროს.

გერონტი ქიქოძის ხანგრძლივ ლიტერატურულ შრომას ერთი საგულისხმიერო თავისებურება ახასიათებს. გადაიკითხეთ მისი ძველი და ახალი წერილები, თქვენ გაგაოცებთ ორი რამ: ინტერესის მრავალფეროვნება და სტილის სიმტკიცე. მისი ინტერესის არე მართლაც საოცრად ვრცელია. ორმოცი წლის მანძილზე ის სწერდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ყველა საკითხზე. ღინჯი ფილოსოფიური, პოლიტიკური ან ესთეტიკური დისკურსიების გვერდით თქვენ შეხვდებით იმპრესიონისტულ ესსეებს. არაერთხელ მოუმარჯვებია მას აგრეთვე დაუნდობელი პოლემისტის გესლი და გულდაჯერებული ერუდიტის არგუმენტებით თუ ირონიით დაუცავს თავისი შეხედულებანი. მაგრამ ყველგან, ძველსა და ახალ ნაწერებში, როგორც ფილოსოფიურ განსჯაში, ისე პოლემიკურ ბრძოლაში არასოდეს არ დაუკარგავს აზრისა და გამოთქმის ის ნათელი ჰარმონიული წყობა და ბუნებრივობა, რომელიც მისი სტილის ორგანიულ თვისებურებას შეადგენს. გერონტი ქიქოძის ენა ყველა თავის ნაწილში სავსებით დამთავრებულია. მას არ მოეპოვება დაწყებას, სწავლებისა და გაწრთვნის საფეხურები. ის შემოვიდა მწერლობაში ჩამოყალიბებული, დასრულებული სტილით.

გერონტი ქიქოძე ყოველთვის შორს იდგა იმ დეკადენტური აზრთა წყობისა და გემოვნების მწერლებისაგან, რომელნიც ხელოვნებას და პოეტს საზოგადოებრივი ინტერესებისაგან აბსოლუტურად განრიდებულ მშვენიერების სფეროებს მიუჩენდნენ. არც მის პიროვნებაში, არც მის სამწერლო პრაქტიკაში არ მოიპოვება დეკადენტური ესთეტიზმის არცერთი ატომი. „არასოდეს შემომქმედ პიროვნებას, — სწერს ის, — ხელოვნების რა დარგშიც უნდა მუშაობდეს იგი, არ ძალუძს მარტოოდენ მხატვრული მიღწევებით ააღელვოს და შეაშფოთოს თავისი თანამედროვეები, ან მით უმეტეს თავისი მომდევნო თაობები: საეჭვოა, რომ მან თავის მოქალაქეობრივ მოღვაწეობასა, თავის მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ იდეალებში აღმოაჩინოს აუმღვრეველი წყაროები, რომელსაც უდაბნოს მექარავნეებივით დაეწაფებიან ისინი, ვინც ულრმეს ადამიანობას არიან მოწყურებულნი“.

მწერლობა გერონტი ქიქოძისათვის მაღალი ჰუმანიურობის ტრიბუნაა და მისი კრიტიკული განსჯა და დაფასებაც ამ ტრიბუნიდან უნდა წარმოებდეს. „ხელოვნება არა მარტოოდენ ესთეტიკური კატეგორიაა, — სწერს გერონტი ქიქოძე, — ის დიდი ეთიკური კატეგორიაცაა: მან უნდა დაგვანახოს არა მარტო არსებული, არამედ მართებულიც“. სწორედ ამ ესთეტიკურ და ეთიკურ თვალსაზრისთა გამთლიანებაში მდგომარეობს გერონტი ქიქოძის კრიტიკული ხელკის არსებითი თავისებურება.

ადამიანი იყო და რჩება მისი ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ესთეტიკური ინტერესის მთავარ ობიექტად. მას იტაცებს და უყვარს ანტიკური და რენესანსული ხელოვნება სწორედ იმის გამო, რომ მისი ცენტრი ადამიანი იყო. ის მუხლს იდრეკს კლასიკური ქართული მწერლობის წინაშე ამავე ადამიანურობისათვის. მან ქართულ კლასიკურ მწერლობაში აღმოაჩინა ჯანსაღი და ჰარმონიულად დამთავრებული ადამიანის იდეალი. განა რუსთაველის ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი გმირები ამ იდეალის განსახიერებას არ წარმოადგენენ? ქართველს აქვს საფუძველი იამაყოს, იმით, რომ ჩვენი გენია დასავლეთ ევროპის რენესანსზე ადრე მისწვდა ამ იდეალს. უფრო მეტი: მეთორმეტე საუკუნის საქართველოში ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო იდეალი, არამედ ფაქტი. და ამ ხორცშესხმულ იდეალად ეხატება გერონტი ქიქოძეს, უწინარეს ყოვლისა, თვითონ შოთა რუსთაველი.

ასე შეიქმნა ის პორტრეტი, რომელსაც „ლიტერატურულ ნარკვევებში“ ვპოულობთ. მე არ მეგულება ჩვენს მწერლობაში რუსთაველის ამაზე უფრო დამაჯერებელი და პლასტიური პორტრეტი, რომელშიაც ავტორმა ძალიან მკაფიოდ გამომაღავნა ისტორიული ინტუიციისა და ვიზიონერული ხედვის დიდი სიმახვილე. აი ზოგიერთი შტრიხი ამ პორტრეტიდან: „მართალია პოეტის ბიოგრაფია არ შენახულა, მაგრამ თუ მისი პოემის მიხედვით განვსჯით, აგრეთვე ანგარიშს გავუწევთ ეპოქის სტილს და ტრადიციულად გადმოცემულ ცნობებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ უნდა ყოფილიყო ვიწრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი, არც უსახლკარო მენესტრელი ან აშუღი, რომელიც ერთი მფარველის კარიდან მეორე მფარველის კარზე გადადის. უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო განთლებული დარდიმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი ერთსა და იმავე დროს, კარგად გამობძრძმედილი სასახლის პოლიტიკასა და ხმელეთის თუ ზღვის ომში. ის კარგად იცნობს სამეფო დარბაზის ეთიკეტს. მაგრამ ის არ გავს ამ დარბაზის ყრმებს ან, მით უმეტეს, კარის გამრიგეებს, რომელნიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს სამეფო სასახლის შეხუთულ ჰაერში ატარებდნენ. თავის პოემაში ის ხშირად სიყვარულით უბრუნდება ბრძოლის აღწერას; ამ შემთხვევებში მისი სტილი განსაკუთრებით ფერადოვანი და დინამიკური ხდება. მაგრამ ის კარგად იცნობს ფეოდალური საზოგადოების სხვა წრეების ცხოვრებასაც. ადვილი შესაძლებელია, რომ ის ამ საზოგადოების უფრო დემოკრატიული ფენიდან წარმოსდგა და შემდეგ ამაღლდა პირადი ღირსების შემწეობით... „უთვალავ ფერიანი სამყაროს“ ათვისებაში, ახალგაზრდა ქალის თვალწარბის, ან კბილების სილამაზის ან კიდევ ძვირფასი ქვების ელვარებისა და ძვირფასი ქსოვილების შრიალის აღტაცებით ასახვაში, მას ეტყობა, რომ ის არ უნდა ეკუთვნოდეს არისტოკრატიულად განაზებულ და დაღლილ თაობათა ჩამომავალთ; მას ყოველივე ეს გულუბრყვილოდ ხიბლავს და ახარებს. ის არ ერიდება პილპილიან გამოთქმებს, ვულგარულ სიტყვებს, საკმაოდ სარისკო ეროტიულ სცენებს: ეს ყოველივე დიდად დამახასიათებელია რენესანსის ადამიანისათვის, რომელიც გათავისუფლდა ეკლესიისა და შეფის კარის მიერ დაწესებული ნორმებისაგან... ეს იგივე გიგმაჟური სულია, რომელიც შემდეგ იტალიაში ბოკაჩიომ, საფრანგეთში ფრანსუა რაბლემ გამოამეღავნა“.

ადგილის სიმცირე არ მაძლევს საშუალებას განვაგრძნო ამონაწერი, მაგრამ მოტანილი შტრიხებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რა შეუმცდარი ინტუიცია აქვს ამ სტრიქონების ავტორს შორეული პორტრეტის მთავარი ხაზებისა და კოლორიტის აღსადგენად: ეს არის მოაზროვნისა და მხატვრის თვალი ერთსა და იმავე დროს. მაგრამ მკითხველს ხიბლავს არა მარტო აღდგენილი პორტრეტის საამურობა, არამედ ენის მშვენიერი ქსოვილიც. რა სისადავეა მის ფრაზებში, რა სინათლე რთული პერიოდის კონსტრუქციებში, და ბოლოს, რა სიადვილით და ბუნებრივობით მისდევენ ფრაზები ერთი მეორეს!

რუსთაველივით ნათელი რენესანსული პიროვნებანი იყვნენ ჩვენი ისტორიის კლასიკური პერიოდის ისეთი პოლიტიკური ფიგურები, როგორც დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე. დიდი მხატვრული გემოვნებით არის გამოკვეთილი რუსთაველის გვერდით მისი პოეტური მუზის მშვენიერი სახეც. ვინც გულდასმით წაიკითხავს ამ ადგილებს, დამეთანხმება, რომ გერონტი ქიქოძეც პლასტიურობის ისეთ სინათლესა და სიმკვეთრეს აღწევს, როგორსაც ჩვეულებრივ სახვითი ხელოვნებისა და მხატვრული სიტყვის ოსტატები აღწევენ. აქ უკვე იშლება საზღვარი ესსეისტსა და პოეტს შორის.

რუსთაველის მომდევნო ქართული კლასიკური მწერლობა გულწრფელად ინარჩენებს ჯანსაღი და ჰარმონიულად დამთავრებული ადამიანის იდეალს. გერონტი ქიქოძის თვალი ჩვენს წარსულ მწერლობაში ეძებს სწორედ მათ, ვინც არა მარტო უმღერდა ამ იდეალს, არამედ პირადი ცხოვრების მაგალითით ანხორციელებდა მას ან მის საწყოდა მისკენ.

მაგრამ ჯანსაღი და ჰარმონიული ადამიანის იდეალის სრულ და ყოველმხრივ განსახიერებას გერონტი ქიქოძე საბჭოთა ეპოქასა და საბჭოთა ადამიანში ხედავს. „საბჭოთა მოქალაქე, — სწერდა იგი სამამულო ომის წლებში,—თავისი დიდი ხელმძღვანელის სტალინის მეთაურობით, იბრძვის ყველაზე უფრო უნივერსალური და პროგრესიული იდეალებისათვის, ვიდრე ოდესმე კაცობრიობას უბრძოლია“... საბჭოთა კავშირი „ყველა წინანდელ საზოგადოებაზე უფრო ჯანსაღია და უფრო ჰარმონიულიც, რადგან ის კაცობრიობას მომავლისაკენ მიუთითებს და არა წარსულისაკენ. მისი დამარცხება შეუძლებელია“.

გერონტი ქიქოძე ისტორიული პორტრეტის შესანიშნავი ოსტატია. მის მრავალრიცხოვან ნაწერებში გაბნეულია ჩვენი პოლიტიკური და კულტურული წარსულის მოღვაწეთა თუ ლიტერატურულ გმირთა საკმაოდ ვრცელი გალერეა. ის ჩვეულებრივ, ფუნჯის ორიოდე მოსმით ხატავს. ზოგჯერ მისი საპორტრეტო შტრიხები მოქცეულია მოკლე ჩართულ წინადადებაში, პერიფრაზაში ან დამატებაში. მაგრამ აქ დამთავრებული, ლაკონიური ნახაზობით და ძუნწი საღებავებით ის აღწევს ბარელიეფის სიმკვეთრეს. თქვენ გრძნობთ, რომ ავტორმა ნიშანში მოარტყა. მაგალითად, ის გვიამბობს ავთანდილის ამბავს, გვიამბობს, როგორ გაეშურა იგი ტარიელის საძებნელად და რა ძნელი უნდა ყოფილიყო ამ სისხლსავსე ეპიკურელისთვის საზოგადოების მატოვება. მაგრამ ის მაინც მიდის უცხო მოამისა და მერე ძმადნაფიცის საძებნელად. რა დამახასიათებელია ეს ავთანდილისათვის! და აი, როცა მოგვიყვება გერონტი ქიქოძე მისი გამგზავრების ამბავს, ის იქვე პატარა პერიფრაზით ამოსჭრის მის პორტრეტში ამ მეტად საინტერესო შტრიხებს: „ეს დასრულებული რაინდი, ეს სტოიკოსებისა და ოვიდიუსის მოწაფე რამდენიმე წლით სწყდება ამ საზოგადოებას, სადაც ის ტრიალებდა“. ფილოსოფიური და ლიტერატურული რემინისცენციები ჩვეულებრივია გერონტი ქიქოძის სტილისათვის. ამ შემთხვევაში ისინი ძალიან მკაფიოდ წარმოგვიდგენენ იმ სულიერ კოლიზიას, რომელითაც შეპყრობილი იყო რუსთაველის გმირი.

მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, არ დავმალავ, უეჭველად ამაზე უფრო მკაფიო მაგალითისა.

პორტრეტის ფერწერაში გარეგნობის შტრიხები აუცილებელ ინგრედიენტს შეადგენენ, მაგრამ განმსაზღვრელი მაინც სულის თვისებებია. სხეულის ენა გერონტი ქიქოძისათვის იმდენად ფასობს, რამდენადაც შესაფერად გამოხატავს შინაგან მოძრაობას ან კონტრასტს ქმნის უკანასკნელთან და ერთგვარად ამძაფრებს სახის სიმკვეთრეს.

სრულიად გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ გერონტი ქიქოძის ენა ქართული მეტყველების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. არაფერს ვამბობ ამჟამად მისი თარგმანების გამო, რომელნიც ჩვენს საუკუნეში იკვნე მაჩაბლის თანატოლ ღირებულებას შეიცავენ. გერონტი ქიქოძის ლიტერატურული შრომის ეს სფერო სპეციალური დაკვირვებისა და შესწავლის ღირსია.

გერონტი ქიქოძის ენას იშვიათი ჰარმონიულობა და მუსიკალური ჟღერა ახასიათებს. სრულიად განსაკუთრებულია მისი სიდინჯე, აუღელვებლობა, სიდარბაისლე და დამთავრებულობა. ყოველ ფრაზაში ხედავ იმ შინაგან თავდაჭერილობას, რომელიც მისი ავტორის პიროვნებას ესოდენ მიმზიდველს ხდის ყველა იმისთვის, ვისაც ერთხელ მაინც შეხვედრია მასთან რაიმე ურთიერთობა.

ჩემის აზრით, ენობრივად ამ სიდარბაისლეს, უწინარეს ყოვლისა, ზმნის ადგილმყოფობა განსაზღვრავს. ზმნას წინადადებაში დომინიური ფუნქცია ეკისრება. ზმნა ენის ნერვი. ქართულ წინადადებაში ზმნას ნებისმიერი ადგილი აქვს. როდესაც ზმნა წინადადების თავშია, მეტყველება ხდება დინამიური, აჩქარებული, ნერვიული. გერონტი ქიქოძის ზმნა მუდამ ფრაზის ბოლოშია. სწორედ ამით აიხსნება მისი დინჯი მდინარება და დარბაისლური ყღერა.

საერთოდ ეს საკითხი სპეციალურ დაკვირვებას საჭიროებს.

მეორეა — ვრცელი პერიოდი. გერონტი ქიქოძის ფრაზა გაშლილია, ლექსიკურად და სინტაქსიურად რთული, მაგრამ ამ სირთულეში იმდენივე სინათლეა, რამდენიც სულხანსაბა ორბელიანის მოკვეთილ ფრაზებში.

გერონტი ქიქოძის ენა ეკონომიურია, მაგრამ იმავე დროს კონდენსირებული და დამტევი. ის ჩვეულებრივ ლაპარაკობს ცოტას, მაგრამ გამოსთქვამს ბევრს.

გერონტი ქიქოძის სტილის თავისებურება ინტელექტუალური და ემოციური ნაკადების ჰარმონიულ შეხამებაში გამოიხატება. მასში ნათლად იგრძნობა აზრის დისკურსიული ხაზები, სილოგისტური კონსტრუქციები, წინამძღვრები და დასკვნები. მაგრამ ის ნამდვილი და შეუმცდარი მხატვარია იმავე დროს, როდესაც მას სურს გვითხრას, როგორ გაიზარდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი თაობის შეგნებაში, რა ახლო მოვიდა იგი ჩვენთან, ის არჩევს ინტელექტუალური განსჯა ხელოვანის ინტუიციასთან შეაზავოს: მაშინ მის თვალწინ აღიმართება ილიას ერთი ცნობილი პორტრეტი და მისი საუბარიც მხ

რუსული ხალხური ზღაპრების გამოცემის გამო

საბლიტგამმა მიმდინარე წელს გამოსცა რუსული ხალხური ზღაპრების სერია: „კაჭკაჭი“, „ჭროლა დედალი“, „თალგამი“, „კოშკი“, „კატუნია ფისოსძე“, „მელია და წერო“, „ცხოველები ეტლში“, „ცხოველების საზამთრო ბინა“.

ამათგან „თალგამი“ დიდი ხანია თარგმნილია ქართულ ენაზე. ის გავრცელებულია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ საშუალებით. დანარჩენი ზღაპრები პირველად გამოდის ქართულად. რუსულ საბავშვო ლიტერატურაში კი ხსენებული ზღაპრები ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა ვარიანტით და მათ ღირსებაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს საჭირო.

რუსულ და სხვა მოძმე ხალხთა ზღაპრების ქართულად გამოცემა ძალიან სასარგებლო და საჭირო საქმეა. მაგრამ გადასათარგმნელად უნდა შერჩეული იქნეს ძირითადი და საუკეთესო ვარიანტი, რომელიც უფრო კარგად არის დამუშავებული და გამართული; ამასთან ხალხური ზღაპარი უნდა ითარგმნოს მშობლიური ფოლკლორის ენით, მისი სახეებისა და გამოთქმების გამოყენებით. ესაა ელემენტარული მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ნათარგმნი ზღაპარი.

ამ თვალსაზრისით სარეცენზიო ზღაპრებიდან ზოგი ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, აეიღოთ ზღაპარი „ცხოველების საზამთრო ბინა“. ტყეში დადიოდა ხარი, შეხვდა ცხვარს, შემდეგ ღორს და ბოლოს მამალს. რად დადიოდა ტყეში ხარი? არ სჩანს. სხვა ცხოველები თითქოს ზაფხულს დაეძებდნენ, მაგრამ რატომ ტყეში უნდა ეძებნათ ზაფხული? ეს კითხვები აუცილებლად დაებადება ნორჩ მკითხველს. ზღაპარი, მით უფრო საბავშვო, აუცილებლად საჭიროებს ყოველი მოქმედების თავისებურ მოტივიზაციას, რომელიც დამაჯერებელი უნდა იყოს ზღაპრული თვალსაზრისით.

მე ხელთ მაქვს ამ ზღაპრის ძირითადი ვარიანტი, დამუშავებული ალ. ტოლსტოის მიერ (1941 წლის გამოცემა). აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ხსენებული ცხოველები პატრონს გაექცნენ, რომელმაც მათი დაკვლა გადაწყვიტა და ტყეში იმალებიან. ეს არის საკმაოდ გასაგები და აზრიანი მოტივიზაცია.

იგივე უნდა ითქვას ზღაპარზე „ჭროლა დედალი“. ბებიასა და ბაბუას ყავდათ ჭროლა დედალი, რომელმაც ოქროს კვერცხი დადვა. ვერც ბაბუამ გასტეხა ეს კვერცხი და ვერც ბებიამ. ძალიან კი უნდოდათ გატეხა. გამოირბინა თაგვმა, გადმოაგდო კვერცხი და გატყდა, დაიწყეს ტირილი ბებიამ და ბაბუამ. რა ატირებთ? აკი გატეხა უნდოდათ? დედალი კი კაკანებს: — ნუ სტირით, მე დაგიდებთ მეორე კვერცხს, არა ოქროსას, უბრალო კვერცხსო! კარგი ნუგეში კია ოქროს კვერცხის მაგიერ უბრალო კვერცხის დაპირება!... სულ არაობას, რასაკვირველია, ეს მაინც სჯობია; ასე თუ მიუდგებით, ამ ზღაპრის თარგმნაც შეიძლება გავამართლოთ, მაგრამ არსებობს მისი უფრო აზრიანი და კარგი ვარიანტი, იმავე ალ. ტოლსტოის მიერ დამუშავებული: დედალმა ჯერ უბრალო კვერცხი დასდო, რომელიც თაგვმა გატეხა, დაიწყო ბაბუამ ტირილი, ბებიამ მოთქმა, ჭიშკრის ბოძებმა ხარხარი, ქათმებმა ფრთხიალი, ჭიშკრებმა ჭრიალი, დაინგრა მესერი, შეირყა ქოხის სახურავი. ჭროლა დედალმა უთხრა მათ: — გაჩუმდით და ოქროს კვერცხს დაგიდებთო. აი ეს ნამდვილი ნუგეშია, რომელიც მთელ ზღაპარს აზრიანობას ანიჭებს. ფორმალურადაც, ეს ვარიანტი უფრო მისაღებია, უფრო მხატვრული და საინტერესოა.

სარეცენზიო ზღაპრების დედნები მე ხელთ არა მაქვს და თარგმნის შესატყვისობაზე ვერაფერს ვიტყვი; საერთოდ ამ ზღაპრების თარგმანი არაა დასაწუნი, მაგრამ ზოგი შეცდომა პირდაპირ მიუტევებელია, მაგ: ზღაპარში „ცხოველების საზამთრო ბინა“ ასეთი რამ სწერია: „მამალმა და ბატმა სთქვეს: დავსხდებით ნაძვის ხეზე, ერთ ფრთას ქვეშ ამოვიდებთ, მეორეს წამოვიხურავთ და ყინვა ვერას დაგვაკლებსო!“. ზღაპარში შეიძლება, რომ ბატი ხარსა და ცხვარს ესაუბროს, შეიძლება ხარმა ქოხი ააშენოს, მაგრამ არ შეიძლება ბატი ხეზე დაჯდეს. ასეთია ზღაპრის სამყარო.

ზღაპარი „კაჭკაჭი“ ასე თავდება: „ბარტყები დაბურდნენ, ხეებზე შემოსხდნენ და შორს, შორს გაფრინდნენ“. არც ხეზე შემსხდარი ბარტყების გაფრენა შეიძლება ზღაპარში ასე უბრალოდ.

ზღაპარში „მელია და წერო“ ვკითხულობთ: მელია და წერო დამშობილდნენო. შემდეგ კი წერო ასე მიმართავს მელიას: „ნუ დამემდურები ნათლიდედო!“ ძმობილები ასე არ მიმართავენ ერთმანეთს.

რუსული „კატფეი ივანეს-ძე“, კატა გოლიათი ქართულ თარგმანში გამოიყურება, როგორც კატუნია ფისოს-ძე. სრულიად შეუფერებელი სახელწოდებაა... როგორ შეიძლება ციმბირიდან მოსული გოლიათი კატა ფისოს-ძე იყოს და კატუნია ერქვას? თუ ქართულ ფოლკლორში შესაფერისი სახე და სახელწოდება ვერ იპოვა მთარგმნელმა, თითონ უნდა შეედგინა შესაფერი რამ. რუსული Котофей გაკეთებულია Тимофей-ს მიხედვით: სიტყვის დასაწყისი „ტიმ“ შეცვლილია „კოტ“-ით (კოტ—კატაა რუსულად). ასე შეიძლებოდა ქართულადაც: გერასიმე, ონისიმე, კატასიმე ონისიმეს-ძე, გინდ გერასიმეს-ძე, აბეზარ ზურაბის-ძე (აბეზარ ქართულ ფოლკლორში გვხვდება კატის სახელად).

ზღაპრები ცუდ ქაღალდზეა დაბეჭდილი. შრიფტები კარგადაა შერჩეული, მაგრამ „ცხოველების საზამთრო ბინა“ და „კატუნია ფისოს-ძე“ ძალიან ცუდად არის დაბეჭდილი.

მთელი სერიის რედაქტორი არის ამხ. ს. ჭანტურიშვილი. მთარგმნელი კი რატომღაც არაა აღნიშნული არც ერთ ზღაპარზე.

დასასრულ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან სასურველია გაგრძელდეს რუსული ხალხური ზღაპრების თარგმნა და მასთან ერთად სხვა ხალხთა ზღაპრებისაც.

პარმენ ფანიშვილი

„მზრუნველობა სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი“

გამომცემლობა „კომუნისტმა“ გამოსცა მხატვრული ნარკვევების კრებული „მზრუნველობა სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი“.

კრებულს წამძღვარებული აქვს კ. თარგამაძის წერილი „ჩვენი მზრუნველობა და დახმარება სამშობლოს დამცველთა ოჯახებს“. კრებულში მოთავსებულია ილო მოსაშვილის „იმ ქოხის დასასრული“, ალიო ადამიას „ლაშის ღელეში სახლია ერთი“, სოლომონ თავაძის „შეხვედრა“, ბორის ჩხეიძის „თავხეები“, როდიონ ქორქიას „სუფთა გულის ადამიანები“, მაყვალა მრევლიშვილის „გულმა იცოდა“, გრიგოლ ჩიქოვანის „მებადური“, ვალერიან გაბილაიას „ოჯახის ბურჯი“, როდიონ ქორქიას „საბჭოთა ქალი“. კრებული გამოცემულია კ. თარგამაძის, ბ. ნანიტაშვილის და ს. ჩიქოვანის რედაქტორობით, შეიცავს 86 გვერდს და ღირს 5 მან.

მოხუცი მხატვარი

გიგო ზაზიაშვილი 1868 წელს დაბადა. ბავშვობისას იგი ხან მემასრესთან მუმლუშაობდა, ხან დალაქთან და ასე დაუსრულებლად იცვლიდა ხელობას, სანამ მამა გარდაეცვლებოდა. თოთხმეტი წლის გიგო დაობლდა და მთელი ოჯახი მისი სარჩენი შეექნა. ყმაწვილმა აღარ იცოდა რა ხელობისათვის მოეკიდა საბოლოოდ ხელი. მისმა ნიჭმა „შემთხვევით“ იპოვა გზა. „თოთხმეტი წლის ვიყავი — ამბობს იგი, — შევნიშნე — მედუქნეს თუნუ-

მხატვრები—გ. გაბაშვილი და გ. ზაზიაშვილი

* * *

ქის ფურცელი ედვა წინ, ხელში ბოთლი ეჭირა და ცდილობდა ბოთლის ფორმის გამოხატვას თუნუქის ფირფიტაზე, მაგრამ ვერ ახერხებდა. მე ადრევე მიტაცებდა მხატვრობა. მიგუახლოდი და უთხარი — ძია, მოიცა მე დავხატავ-მეთქი. რამდენიმე საათის შემდეგ დახატული იყო ყურძნის მტევნებით გარშემორტყმული ბოთლი. მედუქნეს მოეწონა, აბრა დუქანს მიაკრა. ეს ჩემი პირველი ცდა იყო. ჰაშინ მხატვარი ოშვიათი იყო, თუ ვიმეს ასეთი რამ დასჭირდებოდა მე მომმართავდნენ ხოლმე და სულ მალე მხატვრის სახელი გამიავრდა“.

გიგოს ღარიბ სახელოსნოში რომ შეხვალთ, თქვენს ყურადღებას ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე სიგელი მიიპყრობს, რომლებიც მეტყველებენ ი? წარმატებაზე და მოწონებაზე, რომელიც ზაზიაშვილის სურათებმა დაიმსახურეს საქართველოსა და რუსეთში სურათების გამოფენაზე. ოთვალიერებთ სურათებს და ეჭვსაც ვერ მიიტანთ, რომ ისინი „უსწავლელი“ კაცის შესრულებულია; მისი სურათები გამოფენილი იყო პარიზსა და ჩიკაგოში.

გ. ზაზიაშვილს თავის დროზე გაუფორმებია ჟურნალები: „ხუმარა“, „მასხარა“, „ეკალი“, „შურდული“, „შუამავალი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.

„—საშა წულუკიძის დაკრძალვის დროს, — ამბობს იგი, — მე მომცეს დავალება გამეკეთებინა დროშა საშას პორტრეტით. ეს დავალება დიდი სიყვარულით შევასრულე. სამგლოვიარო პროცესიას ჩემს მიერ დახატული დროშა მიუძღოდა წინ, ანის შემდეგ ბევრი არალეგალური დროშა დამიხატია“.

1938 წელს საქართველოს მხატვართა კავშირმა გ. ზაზიაშვილს 50 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა. ამქამად ხანგაზდულობის მიუხედავად, იგი კვლავ განაგრძობს შემოქმედებითი მუშაობას. უკანასკნელი დროის ნამუშევარია იოსებ გრიშაშვილის და გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტები. ამას გარდა დახატული აქვს დიდი ტილო: „წითელარმიელი შაშხანით და გრანატებით ხელში ბრძოლის დროს“. ეს არის საბჭოთა კავშირის გმირი — კისლიაკოვი ბრძოლაში.

ყურადღებას იქცევს სურათი — „თამარ მეფე ლაშქაროზიდან დაბრუნების დროს“.

კარგი იქნება თუ ამ სურათებს შეიძენს თბილისის რომელიმე მუზეუმი. ეს საშუალებას მისცემს მოხუც მხატვარს თავისი დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობა უფრო ფართოდ გაშალოს.

იოსეფ პავლიაშვილი

ვიქტორ ბაბესკირია

ქეთევან წამებული

1624 წლის 13 სექტემბერს შირაზში (ირანში) საჯაროთ აწამეს და შემდეგ ცეცხლს მისცეს ქეთევან დედოფალი,—ასული აშოთან მუხრან-ბატონისა, ცოლი დავით მეფისა და დედა კახეთის მეფის თეიმურაზისა. დედოფალი სტუმრად მიიწვია შაჰ-აბაზმა, შემდეგ რჯულის შეცვლა მოსთხოვა. მან მტკიცე უარი განაცხადა და წამებით სიკვდილი არჩია.

ვიქტორ ბაბესკირიას დრამატიული პოემა „ქეთევან წამებული“ ასახავს დედოფლის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიას. პიესას სდგამს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მიმდინარე სეზონში. ქვემოდ ვთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ხსენებული პიესიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილები დრამატიული პოემიდან

(ქეთევან დედოფლის სახლი შირაზში. შუადღე).

ქეთევან დედოფალი-
(სარკმლიდან შენიშნავს მისკენ მომავალთ)
აქეთ მოდიან მოციქულნი, სიმხნევე მმართებს!
ნუთუ საუბარს, დღესაც იმგვარს გამიმართავენ?!
(ფიქრებს ეძლევა)
მუდამ ტყვეთ ჰყავდა ამ გესლიან და მწარე იჭვებს
ცხოვრება ჩემი, ესოდენი ტანჯვითა მძიმე!
სიმხნევე სულის—შენ შთამბერე, შენ მომანიჭე
ძალაო ღვთისავ, უხილავად რომ დაგვციმციმებ!
(შემოდიან შირაზის ბეგლარ-ბეგი და მოლა)

ბეგლარ-ბეგი:
ნება გვიბოძეთ დედოფალო!—კვლავ გიახელით
ჩვენ ორი მონა, ალაჰის და შაჰის სახელით!

ქეთევანი:
მოგესალმებით, დიდებულნო, მეც მონა ღვთისა!

ბეგლარ-ბეგი:
გვჯერა, რომ თქვენ გულს დაეპყრა, ისე ვით ცვარი,
კეთილი ზრახვა და სურვილი შაჰინ--შაჰისა.

ქეთევანი:
მე მოგახსენეთ! ჩემი სიტყვა, კი, მტკიცე არის!

მოლა:
რჯულის შეცვლა... ეს, ღვთის ნებაა, ამაში გვენდეთ!

ქეთევანი:
ეს სულმდაბალთა თვისებაა და თუ გავბედე
იჭვის მიტანა თქვენ ნათქვამში,—გთხოვთ მიმიტეოთ.

მოლა:
ვთქვათ, ეს წერაა ულმობელი, რას გვეტყვი მაშინ?

ქეთევანი:
თუმცა ქალი ვარ, მაგრამ გეტყვით: არ ვარ უმწეო,
რა რიგ მკაცრი არ იყოს წერა,—ვერ შემაშინებს!

მოლა:
მოსაწონია თქვენი სიტყვა, ის კაცს მაღლს მოჰფენს:
მაგრამ შედეგი დაგვამწუხრებს კეთილს მყოფელთ.

ქეთევანი:
მოსაწონია თქვენი სიტყვაც, ბრძენო მოხუცო!

მოლა:
უწყით იცვლიან რჯულს მრავალნი მეფეთა გვარის.

ქეთევანი:
უზნეო საქმე ყოველივე,—ჩემთვის არს უცხო,
დედოფალი ვარ, არა მონა, თქვენს წინა მდგარი!

ბეგლარ-ბეგი:
ჩვენც თაყვანსა გცემთ, დიდმა შაჰმა აქ გამოგვგზავნა,
რადგან გამშვენებთ სიტყვა, საქმე მუდამ მართალი,

მოლა:
ქვეყნის მპყრობელმა შაჰმა თქვენი სიკეთე ბრძანა
და გადმოგზედათ თქვენ ღირსეულს,—წყალობის
თვალით!

ქეთევანი:
ამ წყალობისგან მხოლოდ ცრემლი, ტანჯვა მიგრძვნია,

ბეგლარ-ბეგი:
როგორც ჩვენ ვამჩნევთ—რისხვა ღვთისა გარდუვალია!
საფრთხის წინაშე დგეხართ!—გამცოთ, ჩვენი ვალია.

ქეთევანი:
მოვიდეს იგი! მწარე ბედს არ შევუშინდები.
გჯეროდეთ, რომ მას ვეგებები მე დამშვიდებით.

ბეგლარ-ბეგი:
მტკიცეა თქვენი სიტყვა, ჩვენთვის შიშისა მგვრელი
დაფიქრდით, გეტყვით, რომ წამებით სიკვდილი გელით

ქეთევანი:
სულს ვეღარ მოჰკლავთ! იგი, მარად შემოხვეული
ნათელი რწმენით—იფრენს ჩემი ქვეყნის ტყე-ველზე;
სულს ვეღარ მოჰკლავთ, ხოლო ვამბობ: ჩემი სახელი
დამიტოვია ჩემი ერის საკურთხეველზე!

(საპყრობილე. ღამე წამების წინ. ქეთევან დედოფალი კედელს მიყრდნობია, ფიქრებს მისცემია)

ქეთევან დედოფალი:
ხვალ მაწამებენ! ახლოვდება ვგრძნობ აღსასრული,
მაგრამ არ მაკრთობს იგი მხოლოდ დამადგამს ნათელს!
ვგრძნობ ხსნა არ არის მასში... მაგრამ ეს ჩემი სული
დაემგვანება სიბნელეში ანთებულ სანთელს.

ჩემი ცხოვრება,—ეს მუდმივი ტანჯვა და ჯვარცმა
ხვალ დასრულდება, სამუდამოდ მომასვენებენ!
ნიჭნი ყოველნი წარმოვიდა და განმეძარცვა,
მაგრამ მჯერა, რომ ქართველის ძენი გამიხსენებენ.

მომიგონებენ... ოდეს ქართლის ტყე-ველნი, მთანი
გაიხარებენ, მათგან აღზრდილ გმირის განგებით!
და, მანამდე კი, მათი დედა,—მე ქეთევანი
ნანგრევებს შორის ჩემ ქვეყნისა,—ლოცვათა ვდგები!

ირგვლივ ღამეა, უცხო ქვეყნის და, დუმილია!
აენთო სული! ახლა სანთელს, ვგრძნობ შეეფერები
ჩემი ქვეყანა მწირი,—ვისიც წილხვდომილია, —
დედასა ღვთისა, გულმხურვალედ შევევედრები:

მომეცი ძალა, რომ არ ვიგრძნო მტრის წინა შიში,
გოლგოთისაკენ მიმავალი გზა გამიკვლიე,
შთამბერე სული უტეხი და, მადლობის ნიშნად, —
სიცოცხლე ჩემი, ვითა კვამლი შენ მიიკმიე!

ქეთევან დედოფალი.
სურათი მხატ. მოსე თოიძისა.

ლეო ქიაჩელი

ორი სჯრიქონის ისტორია

სანდრო და მე დიდიხნის მეგობრები ვართ. უნივერსიტეტმა დაგვაკავშირა და საერთო ოთახში ორი წლის ცხოვრებამ დაგვამეგობრა. ხასიათითაც შევეწყვეთ ერთმანეთს.

ცხრაასრვა წელი იყო. ყველაზე უფრო, რაც ჩვენ რუსეთის იმ შორეულსა და დიდ ქალაქში გვაერთებდა იმ დროს, ეს იყო ის, რომ კვირაში ორი დღე მაინც მშიერები ვრჩებოდით, მიუხედავად ამისა, მხნედ ვიყავით და გულს არ ვიტეხდით. ათასნაირი ხერხით ვებრძოდით ცხოვრებას. ორნი რომ ვიყავით, ეს მეტად გვიწყობდა ხელს, რადგანაც სანდრომ თავისი ხერხები იცოდა, მე კიდევ—ჩემი. ამის წყალობით ფონს იოლად გავდიოდთ და ცხოვრებას ხშირად ჩვენ უფრო დავცინოდით, ვინემ ის—ჩვენ.

იმისდა მიხედვით, თუ ვის რა ხერხი ემარჯვებოდა, განაწილებული გვქონდა მოვალეობა. სანდრო პურისთვის ზრუნავდა, მე კი ბინისთვის. ეს ორი საქმე მთავარი იყო. ცნობილია, რომ რუსეთში მთავარია უწინარეს ყოველისა პური და ბინა.

სანდროს მეპურეების დაუსრულებელი ნდობა ჰქონდა მოპოვებული. კიდევ მეტიც: წარმოუდგენელი იყო ის თავაზიანობა და პატივისცემა, რასაც ისინი ჩემი მეგობრისადმი იჩენდნენ.

— მობრძანდით, ზიართვით, როცა გნებავთ, ფული მაშინ გვიბოძეთო.

პირადად მე დარწმუნებული ვიყავი, რომ სანდროს გამაწბილებელი კაცი საზოგადოდ არ არსებობდა ქვეყნად. ისეთი იყო. თუმცა გარეგნობა პირველ შეხედვაზე მაინცდამაინც მეშზიდველი არ ჰქონდა,—დაბალი, ჯმ ხი ტანის იყო და პირისახის მოყვანილობაში რაღაც უსწორმასწორობა ეტყობოდა,—მაგრამ სამაგიეროდ ხმა ჰქონდა მომჯადოვებელი და თვალების მტკიცე, სანდო გამომეტყველება ადამიანის გულის მომნდირებელი.

რაც შემეხება მე, თუმცა სანდროსებურ ნიჭსა და ღირსებებს მოკლებული ვიყავი, მაგრამ ჩემს მოვალეობას მაინც პირნათლად ვასრულებდი. ბინის პატრონთან ურთიერთობის მშვიდობიან მოგვარებაში ბადალი არ მყავდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაგვიანებული ან გადაუხდელი ქირისთვის ოთახიდან დავეთხოვეთ ან ჩვენს წინააღმდეგ საჩივარი აღეძრათ.

არ მგონია, რომ ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობის დამყარება მაინცდამაინც დაწერილ კანონზე იყოს დამოკიდებული. კანონი ათასში ერთხელ თუ მოაგონდება ცხოვრებაში კაცს. ალბათ, გადამწყვეტ როლს აქ სულ სხვა რამ თამაშობს, რაც არსად არ სწერია. ეს „სხვა“, დაუწერელი რამე ყველამ იცის, როცა მისი გამოყენება ცხოვრებაში აუცილებელი ხდება. მე, ალბათ, განსაკუთრებულად მემარჯვება მისი გამოყენების ხერხი, რაკი ასე იოლად ვაგვარებ ბინის საკითხს, რომელიც ხშირად მწვავე ხასიათს იღებს ჩვენდა უნებურად.

— არ არის გასამხელი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საზამთრო პალტო მე და სანდროს ერთი გვაქვს, საზიარო. ეს არის ჩვენი უდიდესი ნაკლი და ამავე დროს უდიდესი სიიდუმლოებაც. ამ გარემოებას ჩემი მოთხრობისათვის არსებითი მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, არავითარ შემთხვევაში არ გავუმხელდი მას ჩემს მკითხველსაც. დიდი, დიდი ორმა მეგობარმა თუ იცოდა მთელ უნივერსიტეტში ეს ჩვენი ერთი პალტოიანობის ამბავი, ისე სასტიკად გვქონდა იგი დაფარული. ის კი, არა ერთხელ გამიგონია, რომ შურით უთქვამთ ჩვენს შესახებ:

— სანდროს და გოგის რა უჭირთ: საზამთრო პალტოები აქვთო.

ერთი პალტო კი ორად იმიტომ ჩანდა ჩვენს ხელში, რომ როცა იგი სანდროს ეცვა სხვანაირი იყო, მე რომ ჩავიცვამდი კიდევ სულ სხვანაირი.

სანდრო საერთო პალტოს ისე ატარებდა, რომ ყოველთვის მარჯვენა გვერდის ღილებს იკრავდა. ამ შემთხვევაში გაცრეცილი, ფერგადასული მეორე გვერდი იფარება. ამას გარდა ჩემი მეგობარი მუდამ საყელო-აწეული დადიოდა. ამ შემთხვევაში კი საყელოს გაზნექილი მხარე დამალული იყო.

მე კი ამავე პალტოს, ისე ვთქვათ, პირუკუ ვიცვამდი- მარცხენა გვერდის ღილებს ვიკრავდი და საყელო დაშვებული მქონდა. ჩემს ტანზე პალტო უფრო ძველი და უფრო გახუნებული ჩანდა. ვფარავდით კი ამ ჩვენს უბედურებას იმიტომ კი არა, რომ უპალტოობის გვრცხვენოდა. არა, ათვალისწუნების გვეშინოდა, დაცინვას და აშკარა უპატივისცემლობას ვერიდებოდით. ქუჩის ფონს ზამთარში პალტო ქმნის და უპალტოო კაცი საფრთხოზელასავით ეცემა ყოველ გამვლელს თვალში. ნაცნობი კი არა, კარგი ამხანაგიც კი ხეირიანად არ გიპასუხებს სალამზე, თუ იაქესავით გამოჩნდი ქუჩაში უპალტოო. მეტად სამწუხაროდ მიგვაჩნდა, მაგრამ მე და სანდრომ დანამდვილებით ვიცოდით, რომ ამხანაგებს უფრო სჩვეოდათ ხოლმე კაცის აგდება ჩაუცმელობის გამო, ვინემ შორეულებს. ამიტომ განსაკუთრებით მათ ვუმალავდით, რომ საზიარო პალტო გვქონდა.

* * *

ასე ვცხოვრობდით და ვიბრძოდით სწავლისა და არსებობისათვის. ბედს მაინცდამაინც არ ვემდურეოდით, მაგრამ ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად ჩვენი ბედის ჩარხი უცბად უკუღმა დატრიალდა. თავს ღიდი უბედურება დაგვატყდა. იმ დღეს სანდრომ თავი დაანება თავის მოვალეობის ასრულებას და დავრჩით უპუროდ.

ეს მოხდა ერთბაშად, კატასტროფულად: პურზე ზრუნვის ნაცვლად, ჩემმა მეგობარმა ლექსის წერას მიჰყო ხელი.

ადვილი წარმოსადგენია, რა მომიგიდოდა მის შემყურეს: პურის შოვნის არაფერი გამეგებოდა. რამდენსამე დღეში ისე გავხდით, რომ ფეხზე ძლივს ვდგებოდით. მე მანამდისაც არ ვყოფილვარ დეკი, იმდენად არ დამტყობია. სანდრო კი ისე გამოიცვალა, რომ კაცს არ შეეხედებოდა. მთელი დღე ლოგინზე პირაღმა გაშხლართული იწვა, ჭერს შესცქეროდა და უცნაური, შეუცნობელი სევდით დანაბულ თვალებს ატრიალებდა შემლოცველივით. თან რაღაცას ბუბუტუტებდა თავისთვის განუწყვეტლივ. ერთ ხელში გადაკეცილი რვეული ეჭირა, მეორეში ფანქარი. ვიცოდი, რასაც აკეთებდა, მაგრამ დაწერილს სასტიკად მომალავდა. მეც, რა თქმა უნდა, თავს ვარიდებდი. ვიჯექი ჩემს კუთხეში და თავი ისე მეჭირა, თითქოს არც კი ვამჩნევდი. ქვეშქვეშ კი თვალს ვადევნებდი. ძალიან მაინტერესებდა, თუ როგორ იწერებოდა ლექსი. მეტად სასაცილოდ კი მეჩვენებოდა, მისი წყალობით რომ პური არ გვკლებოდა. რამდენადაც მალული დაკვირვებით ვატყობდი, ღიდი თავსატეხი საქმე კი უნდა ყოფილიყო.

სანდრო დიდხანს ანდომებდა რითმების ძებნას. ყოველი ახალი რითმის მოგონებაზე ნერწყვს ყლაპავდა ზედიზედ და მაშინვე ფანქარს მოიმარჯვებდა. ჩასწერდა, მაგრამ უფრო ხშირად ისევ წაშლიდა. არა ნაკლებ დროს ანდომებდა სტრიქონების მარცვლების თვლას, გამოკლებას თუ ჩამატებას. ზოგჯერ თითებსაც იშველებდა ამ დროს... საკვირველი იყო, რომ სიმშილიც კი არ აწუხებდა დ, ასე წარმოიდგინეთ, უპაპიროსობასაც კი ითმენდა.

მაგრამ მუდმივად რომ ყოფილიყო ასეთი მდგომარეობა, უთუოდ ჩემთვის აუტანელი იქნებოდა. ინტერვალებიც ჰქონდა ჩემს მეგობარს, ასეთ დროს გამოვესაუბრებოდი ხოლმე. ერთხელ გულახდილად ვუთხარი:

— სანდრო, ძმაო, მოდი, დაანებე თავი მაგ ლექსებს. მესმის რომ რუსულად მაინც სწერდე!

— შენ რა იცი, რომ რუსულად არ ვწერ? —შემეკითხა შეშინებულმა სანდრომ. დაეჭვდა, ხომ არ კითხულობსო.

— ჩვენი რუსულით რა ლექსი დაიწერება! ჰოდა, ქართულში ვინ რას მოგაშავებს? ჩვენში ბელურების ჭიკვილიც კი ლექსად ისმის. ვის რად უნდა?

— ა? გშია, ჩემო გოგი? გშია, ბიჭო. ძალიან?—სიტყვა ბანზე ამგდო მეგობარმა.

— განა შენ კი არ გშია?

—მე სხვანაირად მშია, გოგი... სხვანაირად, ბიჭო!

— კი, მაგრამ არ იტყვი, რა დაგემართა? მეგობარი ვარ ხომ?

— სუ, თუ ძმა ხარ! ნუ მკითხავ!

ეს რომ თქვა, თვალი ავმღვრა. ამარიდა. მომეჩვენა, თითქოს ცრემლიც კი დადინდა დაწვზე. გული დამეთუთქა, გავჩუმდი.

ცოტა ხნის შემდეგ სანდრომ ისევ შემომხედა. მკითხა, დღეს რა რიცხვიაო და, როცა ვუპასუხე, ნაღვლიანად სთქვა:

— ჰმ, დაგვიანა. იმედი კი მქონდა მისი, რომ მომეშველებოდა.

ვერ გავუგე, რისი თქმა უნდოდა. შემატყო და განმარტა.

— იულიანეზე ვამბობო.

ცუდათ მენშნა ამ „იულიანეს“ ხსენება, როცა სანდრო ავად გახდებოდა. ბოდვა ჩვეოდა. ბოდვაში სულ ერთ ვისმე მეგობარს იგონებდა, რომელსაც იულიანეს უწოდებდა. რამდენად რეალური იყო ეს იულიანე არ ვიცი, მე ის არასოდეს მინახავს. სანდროსაგან კი მსმენია, რომ იგი მეტად ფანტასტიური კაცი უნდა ყოფილიყო. მე კი არ მწამდა მისი არსებობა სინამდვილეში, რადგანაც სანდრო თუმცა ხშირად მოელოდა მას საიდანღაც, მაგრამ ის ერთხელაც არ გამორჩენილა.

— დღეს თუ ხვალ უთუოდ ჩამოვა,—ამბობდა სანდრო,—დეპეშა მაქვს მიცემულიო.

მომაგონდა, ამას წინად მართლა სადღაც წავიდა სანდრო. ეს იმიტომ დამახსოვდა, რომ ჩვენი საზიარო საზამთრო პალტო ჩაიცვა, თუმცა მაინცდამაინც ჯერ კიდევ არ ცივოდა ღღისით და პალტოს არ ვხმარობდით. შევამჩნიე, პალტო იმისთვის უნდოდა, რომ თან წაეღო თავისი რვეულები და რაღაც ქაღალდები, რომლებსაც სასუმალს ქვეშ ჩემგან მალავდა.

— ჰე, ჩემო სანდრო, მაგ შენი იულიანეს ჩამოსვლამდე საეჭვოა, რომ სული შეგვრჩეს! შენ ის სთქვი, რა ვქნათ?

— მანამდე?—მცირედ დაფიქრდა სანდრო.— ამას წინად დეპეშის ფული დათიკოს გამოვართვი, სწორედ იმ დღეს მიიღო სახლიდან. ჯერ დახარჯული არ ექნება. მიდი, ერთი ჯორის ნალი გამოართვი. წინანდელთან ერთად დაგიბრუნებთქო.

ამას რომ ამბობდა, შევნიშნე, რომ თვალების გამომეტყველება საღი, ნორმალური ჰქონდა, უცნაური მღვრეე ბინდის ნასახიც არ ეტყობოდა.

— არც ისე გამოუსწორებელ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს და სინამდვილის შეგრძნობის უნარი ლექსების წერას მასში ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აღმოუფხვრია მეთქი, გავიფიქრე დიმედებულმა. მისი წინადადებაც მომეწონა.

ის იყო, ღამდებოდა. აღარ დამიყოვნებია. პალტო ჩავიცვი და ქუჩაში გავედი. მეეზოვეები ფარნებს ანთებდნენ. საგრძნობლად აცივებულიყო. პალტოს ჯიბეებში ჩავყავი ხელები აქეთ იქით და დათიკოს ბინისკენ გავსწიე. მარჯვენა ხელის თითებში რაღაცა ქაღალდი მომყვა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. შევკუმშე ხელის გულში და გზა განვაგრძე. მერე უცებ გავიფიქრე: „რა ქაღალდი უნდა იყოს მეთქი“. ბოროტი აზრი დამებადა: იქნება ლექსია, მოდი ვნახო, რას აკლავს ის კაცი თავს მეთქი. ამოვიღე, ფარნის შუქისკენ გავიწიე და დავხედე. პატარა ქაღალდზე შუაში ორი მოკლე სტრიქონი დავლანდე, ლექსისსაიერად დაწყობილი. „გამიხარდა. დავდექი და წავიკითხე:

„ბატონო სანდრო, ტყვილა ირჯებით.
შეწყვიტეთ
წერილების წერა და ლექსების გზავნა,
წაუკითხავს ვხვე“.

პირველად ის გამიკვირდა, რომ ლექსი არ იყო. მერე უცებ გავოცდი ეს რა დაინახეს ჩემმა თვალებმა მეთქი. ერთხელ კიდევ წავიკითხე. მოკლე ბარათი ქალის ხელით ნაწერი იყო. ხელმოწერა არ ჰქონდა.

დიდხანს გაშტერებული ვიდექი ფარანთან, თითქოს არ მჯეროდა.

— ნუ თუ?—წამდაუწუმ ვიმეორებდი ჩუმად. სხვა სიტყვა პირიდან არ ამომდიოდა.

ბოლოს ისევ განვაგრძე გზა „ნუთუს“ ჩურჩულით.

დათიკოს ერთი ვერცხლის მანეთიანი გადმომცა. გასამხნევებელი სიტყვები დამაბარა სანდროსთან და ისე გამომისტუმრა. გზადაგზა პური, შაქარი და ხალვა ვიყიდე, პაპიროსიც არ დამივიწყებია ჩემი მეგობრისთვის.

* * *

ოთახში ბნელოდა და სიჩუმე იკო გამეფებული, როცა შევედი.

— სანდრო, აქ ხარ?—ვიკითხე.

— ჰო!—იყო პასუხი, რომელიც მეტად მკვირცხლი მომეჩვენა.

— რატომ ლამპა არ აანთე?

— იულიანეს ამიკრძალა, გოგიმ რომ სინათლეზე უეცრად დამინახოს, შეეშინდებაო.

„დავიღუპე, შეშლილა მეთქი“. გამკრა თავში აზრმა.

— ვინ იულიანეა?

— ვინც უნდა ჩამოსულიყო!—

სმენით გავარკვიე, რომ სანდრო ლოგინიდან წამოდგა. ოთახი ასანთმა გააშუქა.

დავინახე, სანდროს გვერდში ვიღაცა დაბალი კაცი ედგა, რომელიც თავით ძლივს მხრებამდე წვდებოდა. ასანთი ჩაჰქრა.

— ბიჭოს. შენ, მგონია, არ ხუმრობ? გატყობ მორჩენილხარ კიდევაც.

სანდრომ არაფერი მიპასუხა. ისევ აანთო ასანთი. მაგიდასთან მივიდა და

ბიბლიოგრაფია

„ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა“

ცნობილია, რომ ქართველებსა და სომხებს, კავკასიის ამ ორ უძველეს ერს, საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთთან მჭიდრო მეზობლობაში უხდებიდათ ცხოვრება, რის გამო მათ შორის ყოველთვის იყო ინტენსიური თანამშრომლობა სახელმწიფოებრივ-კულტურულ ფრონტზე.

ქართულ-სომხურ ტრადიციულ კულტურულ ურთიერთობაზე მოგვითხრობს ის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც დაცულია ერთის მხრივ ქართული და მეორეს მხრივ სომხური საისტორიო რელიგიური, მეცნიერული და მხატვრული მწერლობის სახით.

საისტორიო წყაროები და წერილობითი ძეგლები გვაუწყებენ, რომ ქართველთა და სომეხთა თანამშრომლობას კულტურის ასპარეზზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ ამ ისტორიის კონკრეტული „გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ იმ დროიდან, რომლიდანაც ქართული და სომხური მწერლობის ძეგლებს მოღწეულია ჩვენამდის“, რაც III-V საუკუნის დამდეგიდან უნდა იქნეს ნაგულისხმევი. ამ დროიდან ურთიერთ შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობას განსაკუთრებით თარგმნითი ლიტერატურა ამყარებენ.

ქართული და სომხური ფილოლოგიური მეცნიერება თავის გზაზე აღმოაჩენდა ხოლმე და იკვლევდა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს, რომლებიც ჩვენს წინაპრებს სომხურიდან უთარგმნიათ, ისევე, როგორც სომხურშიც ყურადღებას იქცევს არა ერთი და ორი ნაწარმოები, რომელიც ქართულიდან მომდინარეობს.

საქართველოსა და სომხეთის კულტურათა ურთიერთობის შესწავლაზე წარსულში გამოჩენილი მეცნიერები მუშაობდნენ. ამ საკითხის რკვევა დიდ ინტერესს იმსახურებს თანამედროვე მეცნიერებაშიც. ნ. მარის, აღ. ხახანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, პეტერსონის და სხვათა ნაშრომებში მოცემულია ქართულ-სომხური ფილოლოგიური ძიებანი, მაგრამ ამ მკვლევართა შრომებში ეს საკითხი ხშირად სხვათაშორის არის წაყენებული და გადაჭრილი. საგანგებო, დამოუკიდებელი ნაშრომი, რომელიც ქართულ-სომხური მწერლობის საკითხს ორივე ენაზე არსებული ტექსტების შესწავლას, მათ შეჯერებასა და ანალიზზე იქნებოდა დამყარებული, ამასთან ორი კულტურის ორმხრივი კავშირისა და ურთიერთობის დადგენას დაისახავდა მიზნად, ისეთი მონოგრაფიული ნაკვლევი, რომელიც საკვლევ საკითხს სისტემატურ შესწავლას მტკიცე კალაპოტში ჩააყენებდა, აქამდე ჩვენ არ გვქონია. ამ ხარვეზს ავსებს გასულ წელს საქ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკად. აკ. შანიძის რედაქტორობით გამოცემული ილია აბულაძის შრომა: „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9, მე-10 საუკუნეში“ (გამოკვლევა და ტექსტები). გამოკვლევა, რომელიც დამატებით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით 274 გვერდს შეიცავს, წარმოადგენს იმ საფუძვლიანი და გულმოდგინე შრომის ნაყოფს, რომელსაც ავტორი კარგი ხანია აწარმოებს ორი ერის კულტურული ფესვების შესასწავლად.

ავტორს მიზნად დაუსახავს შეისწავლოს ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა იმ თარგმნილი ძეგლების ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე, (მე-9, 10 საუკ. ფარგლებში) წარმოიშვა ორივე ენაზე. ამ ხანას ავტორი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში მეორე, შუა საფეხურად მიიჩნევს (პირველ საფეხურად მიიჩნია მე-5, მე-8 საუკუნეები, ხოლო მესამე საფეხურად მე-11, მე-13 საუკუნეები).

წიგნში განხილულ პერიოდში ექცევა არაბების ხანა, როდესაც მტრის მძლავრობის გამო, ქართლის ცნობილმა კულტურულ-რელიგიურმა კერებმა სამხრეთში გადაინაცვლეს და ტაო-კლარჯეთში მყოფ სომხობასთან შეხვედრის საფუძველზე, ცხოველი სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობა აღმოაცენეს. ამ ნიადაგზე გაჩაღდა მთარგმნელთა მუშაობა.

როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემებით წიგნში დადასტურებულია, რომ სომხურიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი სასულიერო ხასიათის თხზულებანი, რომელნიც ამ პერიოდში ტაოს კულტურულ წრეებში შეიქმნა, შესრულებულია ისევ სომეხ მოღვაწეთა მიერ იმ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელიც, საეკლესიო განხეთქილების გამო სომხურ ე. წ. მონოფიზიტურ ეკლესიას გამოეყო.

ყველა ეს თხზულება მკვლევარის დროისა და ადგილის მიხედვით ოთხ წყებად აქვს გაყოფილი, რომელთა თანამიმდევრულ დახასიათებას მოსდევს თვითონ ტექსტები (სომხურ-ქართული ნუსხები პარალელურ სვეტებში.)

რაც შეეხება ქართულიდან სომხურში შესულ ძეგლებს, ავტორს ასეთებად ორი ნაწარმოები აქვს დასახელებული. პირველია „დიონოსიოს ეპისკოპოსის ცხოვრება“, შესრულებული ვინმე იოანე მკურნალის მიერ, ხოლო მეორე „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“, რომელიც გამოკრებით უთარგმნია სომეხ მოღვაწეს — აპაორონ ვანანდელს.

დამაჯერებელ ისტორიულ და ენობრივ ფაქტებზე დაყრდნობით, მკვლევარი ზედმიწევნით სიზუსტით ათარიღებს ძეგლებს, არკვევს მათი წარმოშობის ადგილს, მათ შემომქმედთა და მომხმარებელთა წრეებს, ეძლევა მათი შედგენილობის, ენობრივ-ლექსიკური აგებულებისა და ორთოგრაფიული მხარის ანალიზი.

მკვლევარი დიდი სიფრთხილით ეპყრობა ძეგლების დედანთან სიზუსტის დაცვის საკითხს, ცდილობს რა ყოველთვის ტექსტის პირველი სახის აღდგენას; საჭირო შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ მიმართავს ყველა არსებული ნუსხის შედარებას. ამავე დროს გამოცემულ ძეგლებს იგი უკრიტიკოდ არ ენდობა და არა ერთხელ ასწორებს გამომცემელთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

ილია აბულაძის ეს ახალი გამოკვლევა, რომელიც ღრმა ცოდნით და მეცნიერული აღლოთი აღჭურვილი მკვლევარის კვალისმიდევნილი, ბეჯითი და ხანგრძლივი შრომის შედეგს წარმოადგენს, ახალ ფურცელს შლის ქართულ და სომხურ ლიტერატურულ სამყაროთა კვლევის ისტორიაში, ახალ პერსპექტივებს სახავს ამ ხაზით საწარმოებელი შემდგომი მუშაობისათვის.

ამ წიგნით, როგორც სადისერტაციო ნაშრომით, ავტორმა წარმატებით დაიცვა ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ილია ბაისუროძე

ორი სკრიპტონის ისტორია

(დასასრული)

I

წაშლე სცადა თავისი უნებლიე ხელიფელის გამოსწორება. ახლა რაღაც სხვანაირად განგრძო სიცილი და თან დაატანა:

— ხეხეხე... სამება გამოდისო თქვი, არა,— და განზრახ იკა ხელი შუბლში, რაც არაბუნებრივი გამოუვიდა. ჩემთვის უეჭველი იყო, რომ სანდროს უცებ მოაგონდა რაღაცა საიდუმლება, რომელიც ოთახის იმ კუთხესთან იყო დაკავშირებული, სადაც მე ამას წინად პალტო დავკიდე.

გამოასწორა თუ არა თავისი ფიქრით საქციელი, სანდრომ ჩქარი, ნერვიული და მოკლე ნაბიჯით დაიწყო ოთახში სიარული. მერე ვითომ შემთხვევით პალტოსთან შეჩერდა.

— ჯიბეში სადღაც პაპიროსი უნდა მქონდეს ჩარჩენილი... ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ ისე, რომ ჩვენც გაგვეგონა. უმალვე ჯერ პალტოს ერთ ჯიბეში ჩაყო ხელი, მერე—მეორეში. შემდეგ უცებ ჩვენსკენ მოტრიალდა და გახარებული თვალებით გადმოგვხედა. დამაშტერა მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ღრმად ჩაჩარა და ისევ თავის აღგილს დაუბრუნდა მაგიდასთან.

— ნახე?—საიდუმლო ხმით ჩასჩურჩულა მას იულიანემ.

ჩემი მეგობარი, ალბათ, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. ისე შეკრთა, თითქოს ზედ მის ყურთან თოფი გავარდნილიყოს.

— რა უნდა მენახა?—შეებრუნა კითხვა აშკარად დაბნეულმა სტუმარს. ცხადი იყო არ ახსოვდა, რომ პაპიროსს ეძებდა.

— რასაც ეძებდი!—არ დაწყნარდა სტუმარი. სანდროს ენა ჩაეკარდა. უმწეოდ შეაშტერდა იულიანეს.

— დაგავიწყდა? აკი სთქვი, პაპიროსი ჩამრჩაო.

— ჰო, მართლა! კი, პაპიროსს ეძებდი!... გაუხარდა სანდროს—წარმოიდგინე, ვერ ვნახე.

— შარვლის ჯიბეში რომ ჩაიდევი, ის რაღა იყო?—არ მოეშვა იულიანე.

— არაფერიც! აბა, კაცო, თუ არ გჯერა!— და სანდრომ ნამდვილი ბავშვური გულუბრყვილობით ფართოდ გაშლილი ხელი თვალთან მიუტანა თავის მეგობარს.

— მგონი, გვიმალავ, არ გინდა მოგვაწვინო!

ნეტავი, იულიანესთან ერთად მეც ასე მგონებოდა და ჩემი მეგობრის საქციელის ნამდვილი მიზეზი არ მცოდნოდა.

ბოლოს იულიანემაც იწამა სანდროს საკვირველი გულმავიწყობა და დაბნეულობა. ამან საბაბი მისცა მას მრავალი მსგავსი სასაცილო ისტორია ეამბნა ჩვენთვის. საოცარი ის იყო, რომ ყველა მის ისტორიას საფუძვლად უარყოფილი სიყვარული ედვა. ასე გამოდიოდა, რომ ენაწყლიან იულიანეს თითქოს განზრახ შეერჩია ისინი, რათა სანდროს საიდუმლოებისათვის ფარდა აეხადნა. შემთხვევითი იყო, რასაკვირველია, ასეთი დამთხვევა. მაგრამ ჩემთვის მით უფრო საკვირველი იყო იგი.

რაც შეეხება სანდროს, მას ისეთი მისტიური შიში ჩადგომოდა თვალებში, რომ ვატყობდი, უთუოდ გულთმისნობას სწამებდა მეგობარს. არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი: სიცილი არ ეხერხებოდა, არ-გაცინების კიდევ ეშინოდა,—ამით მიხვედრა არ დავადასტუროო.

რა კი პალტოს ჯიბეში დავიწყებული ბარათი იპოვნა, ჩემზე ეჭვი არ დაბადებია, თუ მისი არსებობა ვიცოდა.

ვუმზერდი და მებრალებოდა.

* * *

გვიან იყო, როცა სტუმარს ლეიბ-საბანი გავუნაწილეთ. ლოგინი გავშალეთ და იულიანეს დასასვენებელი ადგილი მივუჩინეთ. სანდრო და იულიანე ლამპის ჩაქრობის შემდეგაც განაგრძობდნენ ჩუმად საუბარს. მე კი დავიძინე.

არ ვიცი რამდენმა დრომ განვლო. ვიოლინოს ხმამ გამომაღვიძა. სიზმარი მეგონა და თვალი არ გავახელე. გულის წარმტაცად, ტკბილად კვნესოდა ვიოლინო. საოცნებო ჰანგები იღვრებოდა ოთახში.

კარგა ხნის შემდეგ თანდათანობით გავახელე თვალი. ოთახში განთიადის მკრთალი სინათლე შემოსულიყო უდარაბო ფანჯრიდან. ძლივს დავინახე: იულიანე თავის ლოგინზე წამომჯდარიყო, ვიოლინო მოემარჯვებინა და თვალებ-დანაბული უკრავდა. სანდრო კი ფანჯარასთან იდგა, შუბლით მინას მიყრდნობოდა და გულზე ხელები დაეკრიფა.

ხმა არ ამომიღია. არაფრით მიგრძნობებია მეგობრებისათვის, რომ არ მეძინა. მინდოდა კვლავ ყური მეგდო იულიანეს ჯადო მუსიკისათვის.

მაგრამ მალე შეწყდა იგი და ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— კმარა, გვეყოფა, ბიჭო — სთქვა ბოლოს იულიანემ.

— არა, ჩემო იულიანე! განაგრძე კიდევ. არ შემიძლია. ამისთვის გიხმე. ლექსმა არაფერი მიშველა. იქნება, მუსიკამ მოძიშუშოს გულის იარა!

— სულ მოშუშება ნუ გინდა, სანდრო! გულს თუ არ უჭირს, ცხოვრება არაფრად ღირს, იცოდე...—იყო იულიანეს პასუხი.

მოგონება ვასილ ბარნოვზე

ჩემი „მოგონება“ ვასილ ბარნოვის შესახებ („ლიტერატურა და ხელოვნება“ № 18, ა. წ. 27 მაისიდან) რომ წაეკითხათ, ზოგიერთ ნაცნობებმა მისაყვედურეს—მეტი უნდა დაგეწერაო, შენგან გვახსოვს ვასოს შესახებ ზოგი რამ ისეთი, რაც წერილში არ გაქვს მოხსენებული.

აგრე იყოს... დავსძენ რასმე, როგორც იტყოდა ხოლმე ვასილი.

* * *

ვასო არა ხმარობდა სახეფხულო ტანსაცმელს, პალტოს-კი მოიშორებდა, როცა დათბებოდა. თუ ჰკითხავდნენ—არ გცხელაო? იტყოდა—თბილა, ძლივს უმეშოთა ვობებით, რა-დროს სიცხეაო. რაც უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო, ვასო მაინც გავიდოდა სასეირნოდ.

როცა ზაფხულის არდადეგებში ამოვიდოდა კოდაზე, ვასო მეორე დღესვე ეტყოდა დებს—„აბა გამიმალეთ „ძალლის ენაო“; ეს სახელი დაარქვა ვასომ ერთ თხელ ლეიბს, რომელსაც ღამით არავინ ხმარობდა. გაუშლიდნენ „ძალლის ენას“, დაუდებდნენ მუთაქას და ბალიშს, ვასო გახსნიდა თავის წიგნებს, დაწვებოდა და კითხულობდა. ხანდახან საღილობამდის აღარ გამოვიდოდა ოთახიდან.

ბიძა სოლომონის ქერიის ანა ბარნოვის საბლში (კოდაზე) მგონია დღესაც დაცულია არსენა მარაბდელის ხმლის ნატეხი. ხმლის შესახებ ასე მახსოვს: ვითომც ერთს საღამოს არსენა მოსულა. გამოკიდებია ძალი. არსენა იგერიებდა მას ხმლით. ბნელში ხმალი შემოუკრავს დერეფნის ბოძისათვის და შუაზე გადასტეხია. ხმლის წვერი ჩემ დროს აღარ იყო ოჯახში.

ვასომ იცოდა სახუმრო ლექსების სხარტულად გამოთქმა. დღესაც მახსოვს ზოგი ლექსის ნაწყვეტი.

ერთ ლამაზს და ყოველდ ღირსეულ ქალს დავეჟს მეგობრობა ჰქონდათ, ყველას ეგონა, რომ მათი მეგობრობა ჯვარ-წერით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ერთ თოვლიან დღეს ეაჟი ისე გაქრა, რომ ქალისთვის არც-კი შეუტყობინებია. ვაჟი აფთიაქში მუშაობდა.

ვასომ ასეთი ლექსი გამოუთქვა ქალს:

„აფთიაქი გამხდომიყო ტაძარი,
შიგ მესვენა საფრონ, ჩემი მწყაზარი.
უეცრად-კი ნიშადური მოეცხო,
მოეცხრილა, კორტოხისკენ მოეცხო!“

ვასოს არასდროს არ მოუღია მოწაფის ჭშობლებისაგან რაიმე ძღვენი; მოვიყვან ორიოდე მაგალითს.

ერთმა პატარა მოწაფემ მოგვიტანა კალათით ბალი, ვასო გაეხუმრა: „ბიჭო, შენ ვერ შესწავლიდი, ჩვენსა რად მოგქონდა, ისევ წაიღეო!“

ბავშვს ეწყინა, ტირილი დაიწყო და სთქვა: „ჩვენს ეზოში გვიდგა ბალის ხე, ძალიან ბევრი ასხია და ბევრსაც ვჭამთო“. ვასომ ჩამოართვა კალათი, დაუცალა და იმდენი ფული აჩუქა, რომ იმით ბაზარში სამჯერ მეტ ბალს იყიდდა, ბავშვი მხიარულად გაიქცა შინისაკენ.

ერთხელ მოვიდა ჩვენსა მოწაფე ეფრემ სართანიძის მამა (მღვდელი), იკითხა თავისი შვილის ამბავი. მე ვუთხარი, რომ ეფრემა კარგი ყმაწვილია და მშვენივრადაც სწავლობს მეთქი. მოვართვით ჩაი. უეცრად გაიღო ოთახისკარი და კაცმა შემოიტანა სავსე ხურჯინი. რა იყო შიგ—არ ვიცი. შევეკითხე—„ეს რა არის მეთქი“. მოხუცებულმა მღვდელმა მიპასუხა: „ცოტა რამე მოგართვით თქვენ და ვასილო“, მე ვუთხარი: „არც მე და არც ვასილი არაფერს მივიღებთ მეთქი“, შეწუხდა მოხუცებული: „რა ვქნა, რატომ არ უნდა მიიღოთ? რაიმე საათხოვარი რომ მქონდეს, მაშინ მესმის უარი, თქვენ თითონ ამბობთ, რომ ჩემი ბიჭი კარგად სწავლობს. სუსტად სწავლობდეს და მე გთხოვდეთ იმის გადაყვანას შემდეგ კლასში, მაშინ ჩემი მონატანი ქრთამი იქნებოდა... ახლა-კი ჩემი მონატანი არის პატივისცემის ნიშანი, ყველა ის, რაც მოგართვით, უბვად მაქვს ოჯახში, არაფერი მიყადნია, ჩემი ცხენით ამოვიტანე“...

მე შევწუხდი, ვხედავდი, რომ ვაწყენინე, გავედი ვასოსთან და შევეკითხე—როგორ ბოდიშეცე მეთქი. იმან მითხრა: ერთი რამე ამოიღო ხურჯინიდან, დაუყვავე და ისე გაისტუმრეო. ასეც მოვიქეცი. ამოვიღე ერთი ვაშლი და ერთი ჩურჩხელა, მადლობა გადავუხადე და გავისტუმრე. მეორე დღეს სასწავლებელში გავიგეთ, რომ ის ხურჯინი ახლა სასწავლებლის ზედამხედველ შიო შიუკაშვილთან მიეტანა, იქიდანაც ჩვენსავით გამოესტუმრებინათ.

ეს ამბავი რომ უამბეთ ამხანაგებს, მასწავლებელ ნარეკლიშვილმა გვითხრა: „აი თქვე ბედოვლათებო, რატო ჩემთან არ გამოსწავლეთო სართანიძე მღვდელსაო?!“

ერთ მაგალითსაც მოგახსენებთ: მოვიდა ჩვენსა მოწაფის ძმა (მგონია სისაური იყო) იკითხა თავისი ძმის ამბავი. ჩვენ აუხსენით, მოვეცით რჩევა, და გაეისტუმრეთ. ვასომ გაიცალა... მობრუნდა, შეიდგა სამზარეულოში და დაინახა მაგიდაზე ქილა; შეეკითხა დათიკო მზარეულს—„ეს რა არისო“. „ახლა რო კაცი იყო, იმან ერბო მოგართითო“. ვასომ გაიქცა დათიკო, რომ დაებრუნებია ის კაცი. დათიკომ მოიყვანა, ვასომ მადლობა გადაუხადა და უთხრა უკან წაეღო ერბო. ის ძალიან უარობდა, ავიღე ქილა და ყაბალახში ჩაუდგი. კაცი ბოდიშით წავიდა.

კლასში რომ შევედი, წამოდგა ხსენებული მოწაფე და მითხრა: „მასწავლებელო, როდის მოვიდე თქვენსა ჩვენი ერბოს ქილის წამოსაღებათო“. მე ვუთხარი, რომ ქილა ერბოთი სავსე ჩაუდგი იმის ძმას ყაბალახში და უკან გავატანე. ყმაწვილს შერცხვა, ამხანაგებმა დასცინეს.

ის იყო და ის... აღარავის მოუტანია ჩვენსა რაიმე მოსაკითხი.

ალექსანდრე ბარნოვი

გმირის დაბრუნება.
სურათი მხატ. ვ. შერპილოვისა.

მკითხველის შენიშვნები

წერილი რედაქციის მიმართ

ექვსი წლის წინათ გავემგზავრე საქართველოდან და მას შემდეგ წითელი არმიის რიგებში ვიმყოფები. დიდი ხანია ჩემს ირგვლივ აღარ ისმის ქართული ლაპარაკი. სწორედ ამის გამო ადრევე გადავსწყვიტე გაზეთების გამოწერა. ჩემი უფროსი და კარგახანია მიგზავნის „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“ და „ლიტერატურა და ხელოვნებას“.

ახლა ჩემთვის ქართული გაზეთები უგულოდ მეგობრებად იქცნენ. კითხულობ მათ და თითქოს ისევ სამშობლოში ვიმყოფები. აქ, ლაპიტიგის მახლობლად ქართული გაზეთები ძალზე იშვიათი ეგზემპლარებია და ისინი მაძლევენ შესაძლებლობას დაახლოვებით ვიცოდე ვითარება ქართული მწერლობისა.

ამ დღეებში მივიღე „ლიტერატურა და ხელოვნების“ № 33 (86). სხვა ნაწარმოებთა შორის მასში მოთავსებულია დემნა შენგელაიას „ირმის ნახტომი“. როგორც სხვაზე უფრო საინტერესო მასალას, შევურჩიე შედარებით უფრო მშვიდი დრო და მომზადებულად დავიწყე კითხვა. მაგრამ, მართალი უნდა ვთქვა, პირველ სტრიქონებიდანვე კითხვა გამძიანელდა. იქვე მარცხნივ აკაკი ვასაძის წერილია და მე ის შესანიშნავად მესმის თავიდან ბოლომდე, მაგრამ აი ასეთი გამოჩენილი და კარგი მწერლის გაგება, როგორიც დემნა შენგელაიაა — მე მიძძიმს. აი, მაგალითად:

„ალმასი, ლალი გარსკვლავებისა და მთვარე სრული სუროიან აივნის ცისფერ მინანქარზე, ქართული დარბაზის დევერხანა კარის კოჭაკსა და ანჯამებზე თინათინებენ. ოორო-ჩოორო, ვიწრო ქუჩები, მთვარის შუქით თეთრად ითოვლებიან. ათოვს ხარფუხს, ათოვს ფეთხაინს, სეიდაბადსა და ციხისუბანს. მტკვარი ბნელში სულდგმულივით მიიპარება“.

შემდეგ, ავტორი, მოგვითხრობს რა შიო დარაშვილის წინაპრებზე, — სწერს:

„...დილარ დარაშვილს მაინც ვერცერთი ვერ შეედრებოდა. იგი, მპყრობელი შვიდთა ქიშვართა და მბრძანებელი შვიდთა იყლიმთა, ბრძენი ვითარცა პლინიუს პრობუს, მესაიდუმლე და გამომცდელი ცთომილთ ყოველი ხვაშიადისა და მამხილებელი თილისმათა, ოქროზე თითქმის უხილავ არშიებს ისეთის იდუმალებით ქარგავდა, რომ მისი ეშხი თვალს იტაცებდა“ და სხვ.

ნათელია, რომ უბრალო მკითხველისათვის ყოველივე ეს, სიბას ლექსიკონის დაუხმარებლად, ძნელი გასაგებია. მე არ მინდა იმის თქმა თითქოს „ირმის ნახტომი“ კარგი ნაწარმოები არ იყოს. მე არც მის გარჩევას ვაპირებ — საამისოდ ღონე არ მეყოფა. მე თბილისის მე-14 სკოლა დავამთავრე, — და ახლა როცა „ირმის ნახტომში“ ვკითხულობ „იგი მპყრობელი შვიდთა ქიშვართა და მბრძანებელი შვიდთა იყლიმთა“, — უნებურად მაგონდება ძველი ტექსტები, რომელთაც მასწავლებელი შალვა დოლაქიძე გვიკითხავდა და რომელნიც ხშირად ასე იწყებდნენ: „ვითარცა შეიწყალნა მეფე-მან ქასრე ვედრება ქართველთა... კარად სამეფოსა წარემართა“ და ა. შ.

რატომ უბრუნდება „ირმის ნახტომის“ ავტორი ძველებურ ქართულს? მე მახსოვს ომამდე როგორი გატაცებით ვკითხულობდი ამავე მწერლის „ბათა ქექიას“. ეს ხალისიანი, სადა და ძარღვიანი, მომხიბლავი ქართულით დაწერილი წიგნი ჩემთვის საყვარელი რომანი იყო.

„ირმის ნახტომის“ ენა კი ასეთი აღარ არის. მაპატიეთ ასეთი დასკვნის გამოტანა, მაგრამ მე მგონია, თითქოს ჩვენი მწერლები ხანდახან გადამეტებულად ძალას ატანენ თავის ნაწერს, ნაშრომს და მე რატომღაც მეჩვენება, რომ ნაწარმოები ამით არაფერს არ იგებს, პირიქით, ეგებ ზარალობს კიდეეც.

რატომ ვწერ ყველაფერ ამას? შემიძლია გიპასუხოთ უბრალოდ: „მიყვარს ქართული ენა, ვამაყობ იმით, რომ მეც ქართველი ვარ; ვაპირებ ამ ქართული ენის დასაცავად არ წავედით ჩვენ ომში? თითქმის ოთხი წელიწადი ქართველი ახალგაზრდობა სისხლსა ღვრიდა თავისი სამშობლოსა და თავისი ენის გადასარჩენად.

ჩვენ ვაფასებთ ძველ ქართულს, ვსწავლობთ მას, ვგიყვარს ის, როგორც ჩვენი წარსული, მაგრამ რა საჭიროა მისი აღდგენა, როცა ახალი ქართული დამკვიდრებულია. რატომ ხდება ეს, ნუ თუ ამას ლიტერატურის განვითარება მოითხოვს?

არ ვიცი, თუ ვსცდები, თუ ძალიან შორსა ვარ ბეშმარიტებისაგან, გთხოვთ მაპატიოთ. ბოლოშს ვიხდი და სამშობლოსაგან ღიდიხნით განშორებას გადავაბრალებ ყველაფერს.

შ. მოლაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

ოთარ ბიბილეიშვილი

გალაკტიონ ფაბიძის საღამოები ქუთაისში

ქუთაისის მშრომელები განსაკუთრებული სიყვარულით შეხვდნენ საქართველოს სახალხო პოეტს, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გალაკტიონ ტაბიძეს.

3 დეკემბერს ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის შემოქმედების საღამო, რომელზეც გ. ტაბიძის პოეზიის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე გ. სამხარაძე.

პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საქ. სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, მწერალმა ვლ. გუგუშვილმა, ლექტორმა მიხ. ალავიძემ, ლექსები წაიკითხეს პოეტებმა—დ. თომაშვილმა, გ. გიასელმა და არჩ. გურჯიძემ. გ. ტაბიძემ წაიკითხა თავისი ლექსები. მოსწავლეებმა სტუმარს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

* * *

4 დეკემბერს ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის კლუბში გაიმართა გ. ტაბიძის საღამო. მთელი დარბაზი გაჭედილი იყო სტუდენტებითა და მეცნიერ-მუშაკებით.

საღამო გახსნა პედინსტიტუტის დირექტორმა დოც. ლ. ჭელიძემ, მოხსენებით გამოვიდა დოც. კონსტ. მეძველია. სიტყვები წარმოსთქვეს: დოც. გ. სამხარაძემ, ლექტორებმა ფატი გოკიელმა, დ. ბრეგაძემ და სტუდენტმა ო. ტაბიძემ. ლექსებით გამოვიდნენ არჩ. გურჯიძე და მიხეილ კაკიტელაშვილი.

5 დეკემბერს მოეწყო ქუთაისელი მწერლებისა და პრესის მუშაკების შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან.

თბილისის სამხატვრო აკადემია. ქანდაკება „პარტიზანი“ — გიორგი ბილანიშვილის ხადიანლომო ნამუშევარი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ძროხებს სწველიან. სურათი მხატ. მ. მეტრეველისა

ნითელწყაროს თეატრი

ათი წლის წინათ, 1935 წლის 11 მაისს — საქმავთის წითელწყაროს კლუბის რეკონსტრუქციის შემდეგ, ფართო დარბაზში პირველად გაიხსნა ფარდა მუშათა თეატრისა. მიდიოდა ს. მთვარაძის პიესა „სურამის ციხე“— თეატრის დამაარსებლის და პირველი ხელმძღვანელის მ. იარალის დადგმით. თეატრი მომსახურებას უწევდა რაიონის მშრომელებს. თეატრმა შემდეგში შესწყვიტა მუშაობა—1937 წლიდან მუშაობდა პატარა დრამწრის სახით; 1944 წელს საქ. სსრ სახელმსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით აქ სახელმწიფო თეატრი დაარსდა. მაგრამ თეატრის სუსტმა ხელმძღვანელობამ ვერ გაართვა თავი მუშაობას, და თეატრი ვერ გასცილდა ვიწრო, სცენისმოყვარულ ფარგლებს.

რაიონის ხელმძღვანელობამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო, რათა თეატრის მუშაობა გარდაექმნა. მიმდინარე წლის ნოემბრიდან მსახიობთა კოლექტივს კვლავ სათავეში ჩაუდგა ამ თეატრის ძველი ხელმძღვანელი მიხეილ იარალი, რომელმაც ადგილობრივი მსახიობებიდან შეარჩია ნიჭიერი ახალგაზრდები: რ. გოგნაშვილი, ა. შალვაშვილი, ა. ნიკოლოსოვი, მ. მერაბოვი, გ. გოჩიტაშვილი, რ. ლაპიაშვილი და სხვ. მათს გვერდით ნაყოფიერად და გულმოდგინედ მუშაობენ ძველი პროფესიონალი მსახიობები, რომელნიც მოწვეულნი არიან ამ სეზონში სამუშაოდ. ესენი არიან: მ. ქართველიშვილი, ს. ყოჩიაშვილი, ლ. შანიძე, გ. აღლაძე, ჩ. ინჯია და ი. სეხნიაშვილი.

სეზონისათვის მზადება ნოემბრიდან დაიწყო და უკვე მზად არის ორი პიესა — გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“ და ა. ცაგარელის „ხანუმა“. გარდა ამისა რეპერტუარშია: გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, კ. სიმონოვის „ასეც იქნება“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, მოლიერის „ძალად ექიმი“, კაკაკაშვილის „ბაში აჩუკი“ (ა. წერეთლის მოთხრობის მიხედვით), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ და სხვ.

თეატრის კაპიტალური შეკეთება და სცენის მოწყობილობათა რეკონსტრუქცია უკვე დამთავრებულია. სეზონი უახლოეს დროში გაიხსნება გ. ბერძენიშვილის პიესით „ტირიფის ქვეშ“. პიესას სდგამს მ. იარალი, მხატვარი— კ. სანაძე, კომპოზიტორი რ. გოგნიაშვილი.

მიმდინარე სეზონში თეატრის მუშაობაზე წითელწყაროს მაყურებლები დიდ იმედებს ამყარებენ და მოელიან, რომ რაიონის მუშებსა და კოლმეურნეებს ამ თეატრის სახით ეყოლებათ კარგი, შემჭიდროებული მხატვრული კოლექტივი.

შ. მოლაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

ძველი რუსული არქიტექტურის მუზეუმი

ქალაქ ვლადიმირში ეწყობა ძველი რუსული არქიტექტურის მუზეუმი. მასში ნაჩვენები იქნება რუსული ხუროთმოძღვრების განვითარება, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნით და დამთავრებული მეჩვიდმეტე საუკუნით. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ტაძრების, მონასტრების, თავადთა და მოქალაქეთა შენობების არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები, აგრეთვე ვლადიმირის, სუზდალის, ნოვგოროდის, ფსკოვისა და სხვა უძველესი ქალაქების მონუმენტური ფერწერის ნიმუშები.

მუზეუმის ექსპოზიციაზე მუშაობს პროფ. სიჩევი.

„ფ ა ა რ ი“

დრამატურგმა გრ. ბერძენიშვილმა დასწერა ახალი პიესა „ფარი“ კავკასიის დაცვის თემაზე. პიესაში ნაჩვენებია ფრონტის მებრძოლთა და ზურგის მუშაკთა დაძაბული გრძოლა და შრომა სამამულო ომის დღეებში.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ. მგ. რედაქტორი), **შ. რადიანი, გ. ძიძოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი № 3—47—10. **გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. УЭ 09820